პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

სამშაბათი 1 ოქტომბერი 1940 წ. № 228 (5929) ფასი 10 კაპ.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

E 75. N 165

# მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა — უფრო მაღალ საფეხურზე

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის კლასიკური ნაწარმოები—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". ამ ჭეშმარიტად ღრმა მეცნიერული და უბადლო წიგნის გამოსვლა უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა ბოლშევიკების პარტიის იდეურ ცხოვრებაში, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

პარტიამ, საბჭოთა ხალხმა სტალინური ცენტრალური კომიტეტისაგან, პირადად დიდი სტალინისაგან მიიღო კოლოსალური ძალის თეორიული იარაღი, რომლის ბადალი არ არსებობს მსოფლიოში. ეს არის ნაშრომი, რომელშიც განზოგადებულია ჩვენი პარტიის ბრძოლების გიგანტური გამოცდილება, წიგნი, რომლის თვითეულ ღრმა და სადა სტრიქონში იგრძნობა მისი შემოქმედის—დიდი სტალინის გენია.

მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ეს საუცხოო ენციკლოპედია გადაიქცა ყველაზე უფრო პოპულარულ და ნიადაგსახმარ წიგნად. წიგნის გამოცემის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ვეებერთელა ტირაჟი, როგორითაც ვრცელდება ეს წიგნი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე და უცხოეთშიაც. სსრ კავშირში წიგნი გამოიცა 16.184.900 ეგზემპლარის რაოდენობით.

პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს გამოსვლამ მილიონებში აღძრა დაუცხრომელი ინტერესი ბოლშევიზმის ყოვლისშემძლე თეორიის დაუფლებისადმი, მილიონებში აღძრა მისწრაფება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების შესწავლისადმი.

ჩვენმა ხელმძღვანელმა კადრებმა გულმოდგინედ და სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ბოლშევიზმის გმირული წარსულის შესწავლას. მათ კარგად შეიგნეს, რომ ბოლშევიზმის თეორიის დაუფლება შეძენის საქმეა.

ბოლშევიზმის გმირული წარსულის შესწავლის საქმეში უდიდეს სამსახურს გვიწევენ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით შექმნილი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი და ვ. ი. ლენინის მუზეუმთან მოწყობილი შესანიშნავი გამოფენა, აგრეთვე ისტორიული სტალინური ადგილები, რომლებიც გადაიქცნენ ბოლშევიზმის პროპაგანდის უძლიერეს კერებად. ფასდაუდებელია აგრეთვე ამხანაგ ლ. პ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომი — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელიც წარმოადგენს მძლავრ დასაყრდენს ბოლშევიზმის ისტორიის გმირული წარსულის შესწავლის საქმეში. ამ ნაშრომის საფუძველზე უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარდა თვალსაჩინო მუშაობა იმ მასალების შესწავლა-დამუშავებისათვის, რომლებიც ასახავენ დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

როგორც ცნობილია, სტალინური ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილება პროპაგანდის შესახებ, გამანადგურებელ ლახვარს სცემდა რა კუსტარულობას და დაბნეულობას, ბოლშევიზმის თეორიის დაუფლების ძირითად ფორმად წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას აღიარებდა.

და ახლა, როდესაც ვაჯამებთ ორი წლის მუშაობის გამოცდილებას, ჩვენ გაბედულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბოლოოდ გაქარწყლდა ცრურწმენა, თითქოს თეორიის დაუფლების ამოცანის დაძლევა შეუძლია მუშაკთა მხოლოდ მცირე ჯგუფს. პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოსვლამ, ხოლო შემდეგ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ კომუნისტებში აღადგინა რწმენა საკუთარი ძალისადმი, რწმენა იმისადმი, რომ დამოუკიდებელი მუშაობის გზით შესაძლებელია მსოფლიოს გარდამქმნელი თეორიის დაუფლება. ასეულ ათასობით ადამიანებმა, რომლებიც გულმოდგინედ მუშაობდნენ სახელმძღვანელოს შესწავლაზე, წარმატებით დაამთავრეს იგი. აბა მოვუსმინოთ ამ ამხანაგებს, როგორი კმაყოფილებით მოგვითხრობენ ისინი თავიანთი იდეურ-თეორიულ მომზადების დონის ზრდაზე. მართლაც, ის ამხანაგები, რომელთაც ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს ბოლშევიზმის წარსული, გრძნობენ, რომ მთელი თავით ამაღლდნენ, თვალსაჩინოდ ამაღლდა ბეჭდვითი სიტყვის როლი. გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად თავსდება ლექციები, კონსულტაციები და სხვა თეორიული სტატიები. გაზეთების გარშემო შეიქმნა თეორიული ფრონტის მუშაკთა ახალ-ახალი კადრები.

ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც განუხრელად ანხორციელებდნენ სტალინური ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს პროპაგანდის გარდაქმნის საქმეში. დამყარდა ცენტრალიზაცია პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობაში, ფართოდ იქნა შემოღებული პრაქტიკაში ლექციები, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელოვანი მეთოდი. პარტიულმა ორგანოებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი პროპაგანდის არსებითად ხელმძღვანელობას, ოლქკომებისა, ქალაქკომებისა და რაიკომების ბიუროს სხდომებზე ხშირად ისმენენ პროპაგანდის საკითხებს, მთელ რიგ რაიონებში სისტემატურად იხილავენ ლექციების თემატიურ გეგმებს, მსჯელობენ ჩატარებული ლექციების იდეურ შინაარსზე და ა. შ.

ამ მხრივ მუშაობის კარგ ნიმუშებს გვიჩვენებენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, თბილისის ორგანიზაციის სტალინის, კიროვისა და სხვა რაიკომები. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ მარტო აჭარის რესპუბლიკაში ჩატარდა 1.248 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 109.412 კაცი, ჩატარდა 756 ჯგუფური კონსულტაცია, ხოლო ინდივიდუალური კონსულტაცია მიიღო 5.500 კაცმა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს აჭარის ოლქკომთან არსებული ლექტორთა ჯგუფი. ლექციური პროპაგანდა დამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული აგრეთვე სოხუმში, ქუთაისში, ფოთში და სხვა რაიონებში.

1940 წლის განმავლობაში ოლქკომების, ქალაქკომებისა და რაიკომების ხაზით სულ ჩატარებულია 9.393 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 893.291 კაცი. მარტო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შტატიანი და შტატგარეშე ლექტორების მიერ ჩატარებულია 443 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 115.134 კაცი.

კვალიფიციური ლექციები, რომლებსაც წინ უძღვის სათანადო მოსამზადებელი მუშაობა, უდიდეს დახმარებას უწევს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. მაგრამ ლექციები ყოველთვის როდი ტარდება ორგანიზებულად. ზოგჯერ არ ითვალისწინებენ აუდიტორიის მოთხოვნილებას, ლექციების თემატიკა არ დგება მსმენელთა ცოდნის დონის გათვალისწინებით, მისდევენ რიცხობრივ მაჩვენებლებს, ვარდებიან აკადემიზმში და უგულებელჰყოფენ პოპულარულ ლექციებს, რომლებსაც უდიდესი ინტერესით ესწრებიან მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა მასები და, კერძოდ, სოფლის ინტელიგენცია. განსაკუთრებით ამჟამად არის საჭირო ლექციების ჩატარება სოციალისტური შრომის საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით.

რატომ მასობრივად არ უნდა ეწყობოდეს ისეთი პოპულარული ლექციები, როგორიც არის „სოციალიზმი და კომუნიზმი", „მეორე იმპერიალისტური ომი და მუშათა კლასის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში", „შრომა სსრ კავშირში და შრომა კაპიტალისტურ ქვეყნებში" ანდა „სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა და ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის".

წარმატებები თვალსაჩინოა, მაგრამ ბოლშევიზმისათვის უცხო და შეუფერებელი იქნებოდა მიღწეულზე შეჩერება. ჩვენ არ შეგვიძლია მივეცეთ რაიმე თვითკმაყოფილებას.

აღვნიშნავთ რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლიდან ორი წლისთავს, ჩვენ გვესაჭიროება ყურადღების გამახვილება ნაკლოვანებებზე, ნაკლოვანებები კი ჯერ საკმაოდ მოგვეპოვება. პროპაგანდის სისტემიდან ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განდევნილი ფორმალიზმის ელემენტები, აქა-იქ მაინც აქვს ადგილი თვითდინებაზე დაყრდნობას, ზოგან უგულებელჰყოფენ აქტივის სწავლებას, არ ამყარებენ ნამდვილ ბოლშევიკურ კონტროლს კომუნისტთა თვითგანვითარებაზე და სხვ.

მთელმა რიგმა ამხანაგებმა უკვე დაამთავრეს პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს შესწავლა. ასეთები მაგალითად თბილისში ახლა რამდენიმე ათასია. მარტო ფოთში პარტიის ისტორიის სახელმძღვანელო დაამთავრა 105 ამხანაგმა. ცხადია, რომ ამ ამხანაგებთან ჩვენ კვლავ უნდა განვაგრძოთ მუშაობა. საზიანო იქნებოდა, რომ ეს ამხანაგები დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. მათ კვლავ გულმოდგინედ უნდა იმუშაონ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, უფრო მეტად იზრუნონ თავისი კულტურული ჰორიზონტის გაფართოებაზე.

პარტიულმა კაბინეტებმა ყოველმხრივ უნდა უზრუნველჰყონ ეს ამხანაგები ლიტერატურით, ხოლო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ხშირად უნდა იწვევდნენ ამ ამხანაგების თათბირებს, ახდენდნენ მათი გამოცდილების განზოგადებას, ეხმარებოდნენ მათ ლიტერატურის შერჩევაში და სხვ.

პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა ისმენდნენ მოხსენებებს პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ. განა ყოველმხრივ გამართლებული არ არის პარტიულ კრებებზე იმ ამხანაგების გამოსვლები, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს „მოკლე კურსი" და ამ მხრივ დააგროვეს დადებითი გამოცდილება?

ვლაპარაკობთ რა მოწინავე ამხანაგებზე, ჩვენი საზოგადოებრივ-პარტიული აზრი კვლავ უნდა მივმართოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ისევ უკირკიტებს პირველ თავებს, ანდა სულ ჯაფრობს თავის თავზე მუშაობას. უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ უკლებლივ ყველა კომუნისტი, ხელმძღვანელი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი მუშაობდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაზე, ბოლშევიზმის მეცნიერების დაუფლებაზე.

კარგა ხნის წინათ კ. მარქსი სწერდა, რომ „მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარა-გზა, და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვინც არ უფრთხის დაღლილობას და მიჰყვება მის კლდოვან ბილიკებს".

ჩვენს ქვეყანაში მილიონობით არიან ადამიანები, რომლებსაც არ აშინებს ეს კლდოვანი ბილიკები, რადგან მათ იციან, რომ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელთა აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

---

მოსკოვი, კრემლი

# ამხანაგ სტალინს

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

[illegible] ბანი, რომლებიც ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა, ხორცშესხმულია კომუნიზმის მომავალი გამარჯვებანი.

ყველა თავისი წარმატებისათვის კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობას, თქვენს პირადს ზრუნვასა და ყურადღებას უნდა უმადლოდეს, მშობლიურო ამხანაგო **სტალინ!**

სოციალიზმის ქვეყანამ **ლენინ-სტალინის** დროშით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით მიაღწია მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს, სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ახალ აღმავლობას.

სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვა. რა რიგ სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენთან ერთად, ერთ დიად ოჯახში ცხოვრობენ და მუშაობენ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი, საბჭოთა კავშირის ახალი მოქალაქენი — მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების — მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხები.

პარტიის XVIII ყრილობამ უდიდესი პერსპექტივები გადაუშალა კომკავშირს. მან უსაზღვროდ გაადიდა კომკავშირის როლი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივსა და სამეურნეო ცხოვრებაში. ლენინური კომკავშირი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუღალავად, აღფრთოვანებით მუშაობდა თქვენს მითითებათა და ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს კომკავშირის რიგები ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებით შეივსო, რომელთაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საყვარელი სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი. საქართველოს კომკავშირი, ასრულებს რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის მთელს პოლიტიკურ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს ახალგაზრდობა, რომლის ავანგარდშიც დგას ლენინურ-სტალინური კომკავშირი, ბეჯითად და ღრმად ეუფლება მარქსისტულ - ლენინურ თეორიას.

გავითვალისწინეთ რა მასების კომუნისტური აღზრდის ამოცანის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი, საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბეჯითად მოვკიდეთ ხელი სკოლის მუშაობის გაუმჯობესებას, სკოლისა, რომელიც მოწოდებულია კომუნიზმის სულისკვეთებით, **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზარდოს ახალგაზრდა თაობა.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითებებიდან გამომდინარეობდნენ, ხელს უწყობდნენ საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას. უფრო სისხლსავსე გახდა ყოველი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა, კომკავშირის ხელმძღვანელ სამუშაოზე ათასობით ახალი, **ლენინ-სტალინის** საქმისადმი ბოლომდე ერთგული ახალგაზრდა აქტივისტი მოვიდა.

ახალი შინაარსით აღივსო კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებით. ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლას გავაჩაღებთ ფრენიებთან, გამცდენებთან, წუნის მქეთებლებთან, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშებს შევქმნით, პრაქტიკულ დახმარებას გავუწევთ პარტიულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელობას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდებისათვის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

მტკიცედ გვახსოვს თქვენი მითითება კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. საწარმოებსა და კოლმეურნეობათა მინდვრებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში საქართველოს კომკავშირელები და მთელი ახალგაზრდობა ბეჯითად სწავლობს თავდაცვის საქმეს, ემზადება იმისათვის, რომ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული დამცველები გახდნენ.

2 ოქტომბერს 20 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა** ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის სრულიად-რუსეთის III ყრილობაზე.

კვლავ და კვლავ გადავავლებთ რა თვალს ამ ოცი წლის განმავლობაში თქვენი ხელმძღვანელობით განვლილ სახელოვან საბრძოლო გზას, თვითეული ჩვენგანი უდიდესი სიხარულით, კანონიერი სიამაყით ამბობს დღეს: **ლენინის დიადი ანდერძი—ვისწავლოთ კომუნიზმი** — წარმატებით სრულდება.

საქართველოს კომკავშირი, საქართველოს კომპარტიის სახელოვან ლენინურ - სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილი, მჭიდროდ დარაზმული რიგებით შეეგება თავის XV ყრილობას.

თვითეული ჩვენგანის გულში ჩაუქრობლად ღვივის სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!**

ჩვენ ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწეებად ვზრდით ჩვენს თავს და მუდამ მზად ვართ შევასრულოთ ყოველი თქვენი დავალება.

მუდამ სცოცხლობდეს და გამარჯვებული იყოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება!

გაუმარჯოს უძლეველ ბოლშევიკურ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს მთელ მსოფლიოს მშრომელთა იმედსა და სიამაყეს, კომუნიზმის გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — მშობლიურ, საყვარელ **სტალინს!**

---




**„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლა უდიდესი მოვლენაა ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლით პარტიამ მიიღო ბოლშევიზმის ახალი მძლავრი იდეური იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია, პარტიის ისტორიის კურსი ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიაა. მასში გადმოცემული და განზოგადებულია კომუნისტური პარტიის გიგანტური გამოცდილება, რომლის თანაბარი არც ჰქონია და არცა აქვს არცერთ პარტიას მსოფლიოში".**

(საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებიდან)

---

# ბერლინის პაქტი სამთა კავშირის შესახებ

27 სექტემბერს ბერლინში დაიდო პაქტი გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის სამხედრო კავშირის შესახებ. ამ პაქტის შინაარსზე ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება, ვინაიდან მისი ტექსტი გამოქვეყნებული იყო პრესაში. ეს პაქტი საბჭოთა კავშირისათვის განსაკუთრებით მოულოდნელ რამეს არ წარმოადგენს, როგორც იმიტომ, რომ იგი, არსებითად, იმ ურთიერთობის გაფორმებაა, რაც უკვე ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის, და მეორე მხრივ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ისე იმიტომაც, რომ გერმანიის მთავრობამ სამთა პაქტის მომავალი დადების შესახებ საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ მანამდე აცნობა, სანამ იგი გამოქვეყნდებოდა.

შევეხებით რა პაქტის მნიშვნელობის საკითხს, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მოასწავებს ომის ახალ, უფრო ფართო ფაზაში შესვლას, ვიდრე პაქტის დადებამდე იყო. თუ უკანასკნელ ხანამდე ომი დასავლეთში ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის სფეროთი, ხოლო აღმოსავლეთში ჩინეთის სფეროთი განისაზღვრებოდა და ამასთან ეს ორი სფერო ერთმანეთს მოწყვეტილი იყო, ახლა ამ მოწყვეტილობას ბოლო ეღება, ვინაიდან ამიერიდან იაპონია ხელს იღებს ევროპის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკაზე, ხოლო გერმანია და იტალია, თავის მხრივ, ხელს იღებენ შორეულ აღმოსავლეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკაზე. ეს უეჭველია, ომის შემდგომს გამწვავებას და მისი მოქმედების სფეროს გაფართოებას მოასწავებს. ამხ. მოლოტოვი მართალი იყო, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში სთქვა, რომ შეიქმნა ომის შემდგომი გაფართოების, შემდგომი გაჩაღებისა და მისი მსოფლიო იმპერიალისტურ ომად გადაქცევის საფრთხე.

რამ გამოიწვია პაქტის დადება? რა იყო მისი სტიმული? ეჭვი არ არის, რომ უწინარეს ყოვლისა, მისი სტიმული იყო უკანასკნელი ფაქტები, რომლებიც მიეკუთვნება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებასა და გაფართოებას. ეს ფაქტებია: ამერიკის შეერთებული შტატების სულ უფრო და უფრო მზარდი სამხედრო დახმარება ინგლისისადმი; დასავლეთ ნახევარსფეროში არსებული ინგლისის საზღვაო ბაზების გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის; ინგლისის, კანადის, ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ღონისძიებათა გაერთიანება და ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მოქცევა; ინგლისის თანხმობა გადასცეს თავისი შორეულ აღმოსავლეთისა და ავსტრალიის ბაზები ამერიკის შეერთებულ შტატებს. რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად ჯერ კიდევ არ ჩაბმულან ომში ინგლისის მხარეზე გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ. მაგრამ ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატები გერმანიის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო მოწინააღმდეგეებთან ერთს საერთო სამხედრო ბანაკში იმყოფებიან ორსავე ნახევარსფეროში.

პაქტის ერთერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი აშკარად სცნობს მის მონაწილეთა გავლენის სფეროებს და მათ შორის ამ სფეროთა განაწილებას იმ ურთიერთ ვალდებულებით, რომ გავლენის ეს სფეროები დაიცვან სხვა სახელმწიფოთა მხრივ ხელყოფისაგან და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ინგლისისა და მასთან თანამშრომლობაში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ხელყოფისაგან. პაქტის თანახმად, იაპონიას მინდობილი აქვს „დიდი აღმოსავლეთ აზიის სივრცე", ხოლო გერმანიასა და იტალიას — „ევროპა". სხვა საკითხია, ნამდვილად მოახერხებენ თუ არა პაქტის მონაწილენი განახორციელონ გავლენის სფეროთა ასეთი გაყოფა. უეჭველია, ასეთი გეგმის განხორციელება დამოკიდებული იქნება მეომარი ქვეყნების ძალთა რეალურ თანაფარდობაზე, იმაზე, თუ როგორ წარიმართება და რით დაბოლოვდება ახლანდელი ომი, რომელიც უფრო და უფრო მწვავდება.

პაქტის მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას შეადგენს მასში არსებული დათქმა საბჭოთა კავშირის შესახებ. პაქტში ნათქვამია:

„გერმანია, იტალია და იაპონია ირწმუნებიან, რომ ეს შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ შეეხება იმ პოლიტიკურ სტატუსს, რომელიც ამჟამად არსებობს შეთანხმების თვითეულ ამ სამ მონაწილესა და საბჭოთა კავშირს შორის".

ეს დათქმა, უწინარეს ყოვლისა, ისე უნდა გავიგოთ, როგორც პაქტის მონაწილეთა პატივისცემა ნეიტრალიტეტის იმ პოზიციისადმი, რომელსაც ომის პირველი დღეებიდანვე ადგია საბჭოთა კავშირი.

შემდეგ იგი ისე უნდა გავიგოთ, როგორც სსრ კავშირსა და გერმანიას შორის არსებული თავდაუსხმელობის პაქტის და სსრ კავშირსა და იტალიას შორის არსებული თავდაუსხმელობის პაქტის ძალისა და მნიშვნელობის დადასტურება.

საბჭოთა კავშირს, რომელიც ერთგულია მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის თავისი პოლიტიკისა, თავის მხრივ შეუძლია დაადასტუროს, რომ ეს მისი პოლიტიკა, რამდენადაც მასზე იქნება დამოკიდებული, უცვლელია და კვლავაც უცვლელი დარჩება.

**„პრავდის" მოწინავე, 30/IX.**

---

# სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატი

28 სექტემბერს გათამაშებულ იქნა გადადებული პარტიები. კერესმა დრო ვერ იყოფინა ბონდარევსკისთან და წაგებად ჩაეთვალა. ამის შემდეგ ბონდარევსკიმ კოტოვს მოუგო და კვლავ გახდა ტურნირის ლიდერი.

სმისლოვმა ადვილად გამოიყენა თავისი უპირატესობა კოტოვთან თამაშში, იგი ბონდარევსკის სულ ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ლილიენტალის და გერსტენფელდის პარტია ყაიმით დამთავრდა. ბოტვინიკი დანებდა მიკენასს. ლევენფიშმა წააგო კერესთან. თამაშის დაუწყებლად ყაიმზე შეთანხმდნენ კერესი და ბოლესლავსკი. დუბინინმა მოუგო მაკოგონოვსა და რაგოზინს. პეტროვი გაუთამაშებლად დანებდა ვერესოვს და ყაიმით დაამთავრა რაგოზინთან. ყაიმით დამთავრდა კონსტანტინოპოლსკი - ვერესოვის, ლევენფიშ-მაკოგონოვის რუდაკოვსკი - კოტოვის, პანოვ - სტოლბერგისა და რუდაკოვსკი - მიკენასის პარტიებიც.

ლისიცინმა მოუგო სტოლბერგსა და გერსტენფელდს. რაგოზინი დანებდა სტოლბერგს. კვლავ გადაიდო ბოტვინიკ-კონსტანტინოპოლსკის პარტია. დასამთავრებელია კიდევ 4 პარტია.

17 ტურის შემდეგ მოთამაშეთა მდგომარეობა შემდეგია: ბონდარევსკი—12,5 ქულა, სმისლოვი — 12, ლილიენტალი—11 და ერთი გადადებული საყაიმო მდგომარეობით, ბოლესლავსკი—11, მაკოგონოვი და კერესი—10, დუბინინი — 9,5, ვერესოვი—9, ბოტვინიკი—8,5 და ორი გადადებული, რაგოზინი, პეტროვი და ლისიცინი—8, სტოლბერგი—7,5 კონსტანტინოპოლსკი—6,5 და ორი გადადებული, მიკენასი—6 და ორი გადადებული, ლევენფიში და პანოვი—6, რუდაკოვსკი—5,5 და ერთი გადადებული, კოტოვი—5,5 გერსტენფელდი—4,5 და ორი გადადებული.

29 სექტემბერს მოთამაშენი ისვენებენ. 30 სექტემბერს გაიმართება მე-18 ტური (საკდესი).

---

3 ოქტომბერს, საღ. სრულ 9 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 33/35) პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. **გ. ხაჭაპურიძის** ლექცია:

**„ბოლშევიკური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში".**

შესვლა მისაწვევი ბარათებით.

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.**

---

2 ოქტომბერს საღ. 9 ს., ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 21) შესდგება პროფ. **მოსე გოგიბერიძის** ლექცია ქართულ ენაზე:

**„ფრიდრიხ ენგელსის წიგნი „ანტი-დიურინგი".**

ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება ყველა რაიპარტკაბინეტში და ფილარმონიის სალაროში დღის 12 ს. 6 საათამდე, საღ. 7 ს. 9 საათამდე.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.**

---

# დაიხურა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი გამსვლელი სესია

**სოხუმი,** 30 სექტემბერი (საქდესი). დაიხურა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი გამსვლელი სესია სოხუმში, რომელიც 26-დან 28 სექტემბრამდე გრძელდებოდა.

სესიის მუშაობა უაღრესად საქმიანი იყო და აფხაზეთის ფართო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო. სხდომები, გარდა პლენარულისა, მიმდინარეობდა აგრეთვე ორ სექციაში: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციაში პროფ. ს. ნ. ჯანაშიას და ა. მ. ჭოჭუას ხელმძღვანელობით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციაში—პროფ. ფ. ა. ზაიცევის ხელმძღვანელობით. სექციების სხდომებზე მოსმენილ იქნა 31 მოხსენება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციაში დოცენტმა ქ. ვ. ლომთათიძემ გააკეთა მოხსენება „გარდამავლობის საკითხი და გვარები აფხაზურ ზმნაში", დოცენტმა გ. ვ. როგავამ—„ადიღეურ ენათა სახელის ბრუნებისათვის", დოც. გ. ს. ჩიტაიამ — „აფხაზური სახნელი იარაღების ისტორიიდან". აფხაზეთის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა გააკეთეს შემდეგი მოხსენებანი: ზ. მ. მორინამ—„აფხაზური ხალხური ზღაპრები", ა. ნ. მელიხოვმა —„საქართველოს მშრომელთა სოციალ - ეკონომიური მდგომარეობა 1905 წლის რევოლუციის წინ", ლ. ნ. სოლოვიოვმა — „მდინარე კოდორის ხეობის პალეოლითური სადგომები კოდორის ხეობის ისტორიასთან დაკავშირებით", პროფ. ა. ა. სადოვსკიმ გააკეთა მოხსენება „პრეისტორიული კოლხიდის გეოგრაფია".

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციაში მოსმენილ იქნა მოხსენებანი პროფ. ე. ი. ბიუსისა „შავი ზღვის სანაპიროს მიწისძვრები", პროფ. ფ. ა. ზაიცევისა „აფხაზეთის გამოქვაბულთა ცხოველების სამყარო", აგრეთვე აფხაზეთის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებისა: ა. ა. კოლაკოვსკისა—„აფხაზეთის ალპური საძოვრები, როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა", ა. ვ. ვასილიევისა — „აფხაზეთის გარეული ხეხილისა და საკვები ხის ჯიშები" და სხვ.

28 სექტემბერს, საღამოს, სესიის საბოლოო პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. კ. ს. ზავრიევის მოხსენება „ანტისეისმური მშენებლობის საკითხები საქართველოში" და პროფ. ს. ნ. ჯანაშიას მოხსენება „აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან".

აუდიტორიამ მოხსენებანი უდიდესი ყურადღებით მოისმინა.

სესიის დასასრულს მოკლე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი. მან შეაჯამა სესიის მიერ ჩატარებული მუშაობა და სთქვა—ეს მუშაობა დიდი და ნაყოფიერი იყო და მაღალ დონეზე ჩატარდა. ეს უეჭველია ხელს შეუწყობს იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების წარმატებით გადაჭრას, რომლებზედაც საქართველოს და აფხაზეთის მეცნიერული ძალები მუშაობენ.

მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მოხსენებანი, რომლებიც სესიაზე გაკეთდა, გადაწყვეტილია გამოიცეს ცალკე წიგნებად.

# ინგლის-გერმანიის ომი

## გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 29 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ 28 სექტემბერს დღისით და ღამით, გერმანიის ავიაციის ძირითადი იერიშები მიმართული იყო უმთავრესად ლონდონის, აგრეთვე ლივერპულისა და სამხრეთ-ინგლისის სანავსადგურო ქალაქების წინააღმდეგ. სერიოზულად დაზიანებულია სილტერტონის, გრეივესენდის, ტილბერის დოკები ლონდონში და ტემზის შესართავში, აგრეთვე ოსტ-ენდის დოკები. აღმოსავლეთის სანაპიროსთან მტრის გემთა ქარავნიდან, რომელსაც ბადრაგა ჰყავდა, ჩაძირულია ორი სავაჭრო გემი თვითეული 6 ათასი ტონა წყალწყვისა. დღისით ლონდონზე თავდასხმის დროს ძლიერი საჰაერო ბრძოლა მოხდა, რაც გერმანიის ავიაციის წარმატებით დამთავრდა.

ინგლისის ავიაცია ღამით თავს დაესხა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიას. ზარალი უმნიშვნელოა. ბერლინისაკენ შემოიჭრა ინგლისის რამდენიმე ყუმბარმშენი, რომლებიც გერმანიის საზენიტო არტილერიამ უკუაქცია ისე, რომ ქალაქამდე არ მოუღწევიათ. დასავლეთ გერმანიის ერთერთ ქალაქში ყუმბარები დაუშინეს დასახლებულ უბნებს, მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი. გუშინ მტერმა 28 თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის ერთი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

## ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 29 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად ქვეყნდება, რომ გუშინ, დილით და ნაშუადღევს, მტრის თვითმფრინავებს, რომლებიც ლონდონში შემოჭრას ცდილობდნენ, წინ დაუხვდნენ ინგლისის ავიაგამანადგურებლები. პირველი იერიშის დროს მხოლოდ ზოგიერთმა მოაღწია ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილამდე. ჩამოჰყარეს ყუმბარების მცირე რაოდენობა. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. მსხვერპლიც დიდი არ არის. მეორე იერიშის დროს გერმანიის ვერცერთმა თვითმფრინავმა ვერ შესძლო ლონდონამდე მოეღწია.

უკუქცეულ იქნენ აგრეთვე გერმანიის თვითმფრინავები, რომლებიც პორტსმუტის რაიონს მოუახლოვდნენ. ბრძოლის დროს ჩამოგდებულია გერმანიის 6 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 7 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 28 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ინგლისის ავიაციის სამინისტროს შემდეგს კომუნიკეს: „26 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ახალი თავდასხმა მოაწყო ლა-მანშის ნავსადგურებზე, მათ შორის ოსტენდეზე, კალეზე, ბულონსა და ჰავრზე და იქ სერიოზული ნგრევა მოახდინა. გარდა ამისა, ბომბარდირება განიცადეს ქილმა და სხვა სამხედრო ობიექტებმა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში. ერთი ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე არ დაბრუნებულა".

## გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

**ბერლინი,** 28 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ავიაცია გუშინ, ნაშუადღევს, წარმატებით ესხმოდა თავს ინგლისს. ლონდონში ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი და მოხდა აფეთქება. ნავსადგურში ჩაძირულია რამდენიმე გემი. ტემზის შესართავში ყუმბარებმა ძლიერ დააზიანეს სანაპიროს ნაწილი და საწყობები. გერმანიის თვითმფრინავთა დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს სამრეწველო ობიექტებზე დერბში, ბირმინჰამში, მანჩესტერსა და ბრისტოლში. ირლანდიის ზღვაში გაფანტულ იქნა გემთა ორი ქარავანი, რომლებიც ლივერპულს მიდიოდნენ. განსაკუთრებული სასტიკი ბომბარდირება განიცადეს ჰულმა და ნიუკასლმა. კარგმა ამინდმა გააადვილა მოქმედება გერმანიის ყუმბარმშენთა, რომელთაც ბევრგან თან ახლდნენ გამანადგურებელი ავიაციის ძლიერი შენაერთები. მათ დასახვედრად გამოფრინდა ინგლისის მხოლოდ რამდენიმე ავიაგამანადგურებელი. განსაკუთრებით უმნიშვნელო იყო ინგლისის გამანადგურებელი ავიაციის მოქმედება შუა ინგლისში. ჯერჯერობით მიღებულ ცნობებით, ჩამოგდებულია ინგლისის 75 თვითმფრინავი, გერმანიის 23 თვითმფრინავი თავის ბაზებში ჯერ არ დაბრუნებულა".

## იტალიის ავიაცია თავს დაესხა ჰაიფს

**ბერლინი,** 29 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ 28 სექტემბერს იტალიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ჰაიფის ნავთსაცავებსა და რკინიგზის ნაგებობებს. ნავთსაცავებში დიდი ხანძარი გაჩნდა. ძლიერ დაზიანებულია რკინიგზის სახელოსნოები ნავთსაცავებისა და ახალი ნავთსახდელი ქარხნების მახლობლად. ნავსადგურში დანგრეულია სხვადასხვა შენობები და საწყობები. ყუმბარები მოხვდა ნავსადგურის ტერიტორიაზე მდებარე, ჰაიფა-კაიროს რკინიგზის უკანასკნელ პუნქტსაც, აგრეთვე ჰაიფის რკინიგზის ვაგზალს. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა წყალქვეშა ნავების პატარა ნავსადგურს, რომელიც მთავარი ნავსადგურის აღმოსავლეთით მდებარეობს.

## საფრანგეთის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენენ გიბრალტარს

**ბერლინი,** 28 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იმოწმებს იტალიური გაზეთის „სტამპას" ცნობას და იუწყება, რომ 27 სექტემბერს გიბრალტარს გადაუფრინა საფრანგეთის ყუმბარმშენთა რამდენიმე ესკადრილიამ. საჰაერო თავდაცვამ ცეცხლი დაუშინა საფრანგეთის თვითმფრინავებს, რომლებმაც რამდენიმე ყუმბარა დააყარეს სიმაგრეს.

## ამერიკის შეერთებულ შტატებში შესყიდული საესკადრო ნაღმოსნები ინგლისს ჩავიდნენ

**ლონდონი,** 29 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამერიკის მიერ ინგლისისათვის გადაცემული საესკადრო ნაღმოსნების პირველი ფლოტილია ინგლისის ერთერთ ნავსადგურში შევიდა. თვითეული საესკადრო ნაღმოსნის წყალწყვა 1200 ტონას შეადგენს. ნაღმოსნები თითქმის ისე არიან შეიარაღებულნი, როგორც ინგლისის ნაღმოსნები. ამერიკის ყველა საესკადრო ნაღმოსანს აქვს 4 დუიმის ყალიბის ქვემეხი, 3 დუიმის ყალიბის საზენიტო ქვემეხი და 21 დუიმის ყალიბის სატორპედო აპარატები. სვლის სისწრაფე 35 კვანძს უდრის.

## ამერიკის შეერთებული შტატების გამოხმაურება სამ სახელმწიფოს პაქტის დადებაზე

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ფინანსიური განყოფილების რედაქტორი კომენტარს უკეთებს 26 სექტემბერს ბირჟაზე არსებულ სუსტ აქტივობას და აქციების უმნიშვნელო დაცემას და სწერს: საბირჟო წრეების სიფრთხილე იმასთან არის დაკავშირებული, რომ შეუძლებელია „ვიწინასწარმეტყველოთ ამბავთა მიმდინარეობა შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ ახალ გართულებათა გამო". გაზეთი სწერს, რომ „უოლ სტრიტი მოელის ომის მნიშვნელოვან გაფართოებას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მოსალოდნელია იაპონია უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გერმანიისა და იტალიის პროგრამის განხორციელებაში. საფინანსო წრეები ფიქრობენ, რომ რუზველტის მიერ შემოღებული ემბარგო ლითონის ჯართის გაზიდვაზე ძლიერ იარაღს წარმოადგენს იაპონელთა მოქმედების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში. ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები მოელიან, რომ იაპონია-გერმანია-იტალიის კავშირი, ალბათ, გააძლიერებს იმის შესაძლებლობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო ჩაებნენ ომში".

## ესპანეთის გამოხმაურება იაპონია-იტალია-გერმანიის პაქტის დადებაზე

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ესპანური პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს იაპონია-იტალია-გერმანიის პაქტის დადების გამო. გაზეთი „ინფორმასიონესი" იწონებს იაპონიის პრეტენზიებს ფილიპინის კუნძულების მიმართ. სააგენტო აღნიშნავს, რომ ესპანეთი ალბათ მალე გამოაცხადებს, თუ რა პოზიცია უკავია დღევანდელ ომში.

## ხმები შვეიცარიის მომავალი დანაწილებისა და ბალკანეთის ახალი ბლოკის შესახებ

**ბუქარესტი,** 28 სექტემბერი (საკდესი). რუმინეთის ჟურნალისტთა წრეებში ხმები დადის, რომ მალე მოსალოდნელია შვეიცარიის დანაწილება გერმანიასა, იტალიასა და საფრანგეთს შორის. იუწყებიან აგრეთვე, რომ შესაძლებელია ახალი ბლოკი შეიქმნას ბალკანეთში. ამ ბლოკში შევლენ რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და იტალია.

## გერმანიის განცხადება კანადის დამხმარე კრეისერის მიერ გერმანიის გემის დაკავებასთან დაკავშირებით

**ბერლინი,** 29 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შემდეგს ცნობას: „ამერიკის პრესა იუწყება, რომ კანადის გემმა „პრინც რობერტმა" მანცანილოს განედზე დააკავა გერმანიის გემი „ვეზერი". ამერიკის ცნობაში კანადის გემს დამხმარე კრეისერს უწოდებენ. ამერიკის ცნობაში ნაჩვენები ადგილი, სადაც ეს ამბავი მოხდა, პანამის კონფერენციის მიერ დაწესებულ საგარანტიო ზონის ფარგლებშია. გერმანიის სავაჭრო გემის დაკავება უეჭველად საომარ ოპერაციას წარმოადგენს. გემ „ვეზერზე" თავდასხმა ამავე დროს არის ამერიკის საგარანტიო ზონის დარღვევა, რაც ჩაიდინა იმ ქვეყნის გემმა, რომელიც თვით მდებარეობს დასავლეთ ნახევარსფეროში. არ არის გამორკვეული, რომ ის ხომალდი, რომელმაც გერმანიის გემი დააკავა, სამხედრო გემი იყო თუ უბრალო შეიარაღებული სავაჭრო გემი". შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ „საინტერესო იქნება თვალყური ვადევნოთ გამოეხმაურებიან თუ არა და როგორ გამოეხმაურებიან ამერიკის ქვეყნები მათ მიერ დამტკიცებული საგარანტიო ზონის ამ ახალ დარღვევას დიდი ბრიტანეთის მიერ".

## მდგომარეობა საფრანგეთის ინდო-ჩინეთში

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის ჯარმა ხაიფონის დაკავების შემდეგ თავისი შტაბი მოათავსა ჩინეთ-ამერიკის ფირმის „საუს ვესტერნ ტრანსპორტეიშნ კომპანის" კანტორაში, რომელიც განაგებს სატვირთო ავტომობილების შეზიდვას ჩინეთისათვის. როგორც ფიქრობენ, იაპონელებს განზრახული აქვთ ხელთ იგდონ ამერიკის წარმოების რამდენიმე ათასი სატვირთო ავტომობილი.

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფლებამ იაპონიას სთხოვა, რწმუნებული გაგზავნოს საფრანგეთის ინდო-ჩინეთში, რათა შეაჩეროს სამხრეთ ჩინეთიდან მიმავალი იაპონელთა არმია. საფრანგეთის ხელისუფალნი პროტესტს აცხადებენ აგრეთვე იმის გამო, რომ 27 სექტემბერს ხანოის თავზე დაფრინავდა იაპონიის 6 თვითმფრინავი.

საფრანგეთის ხელისუფალნი აცხადებენ, რომ იაპონიის ჯარი ამჟამად დონმოს (მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ხანოისა და ქალ. ლანსონს შორის) მახლობლად იმყოფება. არსებული ცნობებით, იაპონელებმა ამ პუნქტისაკენ წაიწიეს მას შემდეგ, რაც ალყა შემოარტყეს და განაიარაღეს საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ამ რაიონში იმყოფებოდა. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი ამჟამად ხანოიში რჩებიან. მაგრამ ფიქრობენ, რომ ისინი წავლენ იქიდან, თუ იაპონიის წინსვლა არ იქნა შეჩერებული. ჩინეთის გენერალური კონსული ხანოიში ქალაქიდან გაემგზავრა თავისი შტატითურთ. 27 სექტემბერს დაიხურა ჩინეთის ბანკები ხანოიში.




ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ხაიფონში დამატებით მიდის იაპონიის ჯარი სრული საჭურველითა და საომარი მასალითურთ, რაც საკმარისია ხანგრძლივი დროისათვის.

საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვით, ინდო-ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში ყოველგვარი საომარი ოპერაცია შესწყდა მას შემდეგ, რაც ფრანგებმა ლანსონიდან უკან დაიხიეს. საფრანგეთის ჯარმა, რომელსაც დიდი ზარალი მოუვიდა ლანსონთან ბრძოლის დროს, ამჟამად იაპონელების წინააღმდეგ პოზიციები მოაწყო მდინარის ნაპირზე ლანსონის სამხრეთით.

**ნიუ-იორკი,** 29 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხანოიში განაცხადეს, რომ 28 სექტემბერს ტაის (სიამი) თვითმფრინავმა ტყვიამფრქვევი დაუშინა ადგილობრივი პოლიციის პოსტს საზღვრიდან 45 მილის დაშორებით, საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ფარგლებში. პოლიციის პოსტს პასუხი არ გაუცია. არავინ დაზარალებულა.

# პ. პოლოსუხინის შესანიშნავი გახანგრძლივებული გადმოხტომა

## ახალი სუბსტრატოსტატის საცდელი ფრენა სიმაღლეზე

**დოლგოპრუდნაია** (მოსკოვის ოლქი), 27 სექტემბერი (საკდესი). ამინდის ცენტრალური ინსტიტუტის აეროლოგიური ობსერვატორიის მოედანზე დილიდანვე არაჩვეულებრივი გაცხოველება იყო. დღეს აქ საცდელი ფრენისათვის ემზადებოდა ახალი საბჭოთა სუბსტრატოსტატი „სსსრ ვრ—79", რომლის მოცულობა 2.500 კუბმეტრს აღემატება და რომელიც განკუთვნილია დიდ სიმაღლეზე სამეცნიერო მუშაობისათვის. გულდასმით იქნა შემოწმებული სუბსტრატოსტატის გონდოლაში მოწყობილი ჟანგბადიანი აპარატები, რადიოსადგური და სხვა ხელსაწყო. გონდოლაში 70-ზე მეტი ტომარი ბალასტი იწყო, რომლის საერთო წონა 2.600 კილოგრამს უდრიდა.

სუბსტრატოსტატი „სსსრ ვრ—79" აფრინდა 10 საათსა და 26 წუთზე. ქიმბანზე იყვნენ ცნობილი სტრატონავტები ა. ა. ფომინი და ა. ფ. კრიკუნი, აგრეთვე პილოტი ა. ი. რომჩინი და სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატი პ. პ. პოლოსუხინი.

11 საათსა და 13 წუთზე სუბსტრატოსტატმა „სსსრ ვრ — 79" რადიოთი გადმოსცა, რომ ნოგინსკი უკვე გაიარა 1.200 მეტრ სიმაღლეზე და გადაწყვეტილება მიიღო, რომ უფრო მაღლა ავიდეს. ასვლა მიმდინარეობდა წამში — 3-5 მეტრი სისწრაფით. 12 საათსა და 10 წუთზე „სსსრ ვრ—79" შეჩერდა 8.050 მეტრ სიმაღლეზე. ამ დროს პოლოსუხინმა პარაშუტი ზურგზე მოიგდო, ჟანგბადიანი აპარატი მოიმარჯვა და გონდოლა დასტოვა.

ამის შემდეგ სუბსტრატოსტატი ასვლას განაგრძობდა და დაახლოებით 8500 მეტრ სიმაღლეს მიაღწია. 14 საათსა და 06 წუთზე იგი დაეშვა გორკის რკინიგზის კომისაროვსკის სადგურის მახლობლად. ეკიპაჟმა დავალებული საქმე ჩინებულად შეასრულა.

**სოფელი დოროფეევო** (მოსკოვის ოლქი), 27 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ორეხოვო-ზუევოს რაიონის სოფელ დოროფეევოდან, ხუთ კილომეტრზე, აზლადაყრილ ტყეში ორი პარაშუტით დაეშვა სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ცნობილი ოსტატი ამხ. პ. პ. პოლოსუხინი, რომელმაც ახალი სუბსტრატოსტატიდან „სსსრ ვრ — 79" შესანიშნავი გახანგრძლივებული გადმოხტომა მოახდინა.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ამხ. პ. პ. პოლოსუხინმა შემდეგი აღნიშნა:

— სუბსტრატოსტატიდან გახანგრძლივებული ხტომა სიმაღლეზე ჩემს მე-232 ხტომას წარმოადგენს.

მე მიზნად დავისახავდი გამომერკვია თავისუფალი ვარდნილობის სისწრაფის ზრდა და მილევა. ჩემი და ჩემი საჭურვლის წონა 135 კილოგრამს აღწევდა.

12 საათსა და 12 წუთზე გონდოლის ქიმზე გავედი და 60-70 გრადუსი კუთხით გადავხტი. ვარდნილობის სისწრაფე სწრაფად მატულობდა. ხანდახან ეს ყურსაც კი მიხშობდა. პირველი წუთების განმავლობაში მაკრატელივით ფეხგაშლილი და მკერდზე ხელებდაკრეფილი ვეშვებოდი. როცა 700 მეტრი გავიფრინე, ვარდნილობის სისწრაფემ 102 მეტრს მიაღწია წუთში, შემდეგ კი თანდათან იკლო.

5.500 მეტრ სიმაღლეზე ძლიერ შტოპორში მოვხვდი. ჩემი ტანი უდიდესი სისწრაფით ტრიალებდა საკუთარი ღერძის გარშემო. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ვერ მოვისწრო, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ შტოპორში მოვხვდი. ამჯერადაც იოლად შევძელი შტოპორიდან გამოსვლა. 2.150 მეტრ სიმაღლეზე ღრუბლებს წავაწყდი. როცა ღრუბლებში მივფრინავდი და მიწას ველარ ვხედავდი, 1.600 მეტრ სიმაღლეზე პარაშუტი გავშალე. პარაშუტის გახსნის წინ ვარდნილობის სისწრაფე უკვე 70 მეტრს აღწევდა წუთში.

როცა გონდოლა დავტოვე, თერმომეტრი მინუს 33 გრადუსს უჩვენებდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილი ტანსაცმელი და ბეწვის ხელთათმანები მეცვა, ხელი მეყინებოდა. უდიდესი სისწრაფით დაშვებისას მე განუწყვეტლივ ვაკვირდებოდი ხელსაწყოთა — ალტიმეტრის, წუთმზომისა და ჟანგბადიან ბალონზე მოწყობილი მანომეტრის ნიშნებს. დროდადრო მე მიხდებოდა ხელთათმანებით მომეწმინდა ამ ხელსაწყოთა მინა, რადგან იგი რთვილის სქელი ფენით იფარებოდა.

თავს კარგად ვგრძნობ და მზადა ვარ შევასრულო კიდევ უფრო რთული დავალება.

## ჩვიდმეტი ათასი მოგება

11 ოქტომბერს სვერდლოვსკში შესდგება 1938 წლის სახელმწიფო სესხის მოგებათა მე-14 ტირაჟი. ტირაჟით გათამაშებულ იქნება 17.040 მოგება 11.503.200 მანეთისა, მათ შორის 25.000 მანეთიანი 12 მოგება. 10.000-მანეთიანი 60 მოგება, 5.000-მანეთიანი 360 მოგება და 1.000-მანეთიანი 3.600 მოგება. (საკდესი).

## ლვოველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა

**ლვოვი.** ოქტომბრის პირველ ნახევარში მოსკოვში მოეწყობა ლვოველ მხატვართა სურათების გამოფენა. ექსპონატების შერჩევა დამთავრებულია. წარმოდგენილ იქნება ფერწერის, გრაფიკისა და ჩუქურთმის 150 საუკეთესო ნაწარმოები. ამ დღეებში ექსპონატები მოსკოვს იგზავნება. (საკდესი).

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

### გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 30 სექტემბერი. გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია: „განუწყვეტლივ გრძელდებოდა იერიში ინგლისისა და შოტლანდიის მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. თავდასხმის ძირითადი ობიექტი კვლავ ლონდონი და ლივერპული იყო. ორივე ქალაქის სანავსადგურო რაიონებში ბომბარდირების შედეგად დიდი ნგრევა მოხდა და მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. ყუმბარა დავუშინეთ აგრეთვე სამხრეთ ინგლისის რამდენიმე ნავსადგურს. ღამის თავდასხმის დროს მძიმე ყალიბის ყუმბარა დავაყარეთ შოტლანდიის ქალაქებს ებერდინს, ედინბურგსა და ლიტს. შუა ინგლისში გერმანიის ყუმბარმშენებმა დაბლა ფრენის დროს ყუმბარები ჩამოჰყარეს სამხედრო ქარხანაში, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. მძიმე ყალიბის ყუმბარამ, რომელიც ამ საწარმოს მოხვდა, დიდი ნგრევა გამოიწვია.

გერმანიაზე ინგლისის ავიაციის წუხანდელი თავდასხმის დროს მოწინააღმდეგის ცალკეულმა თვითმფრინავებმა შესძლეს შეჭრა ბრანდენბურგის რაიონისაკენ, მაგრამ ინგლისის თვითმფრინავებმა დედაქალაქს ვერ მიაღწიეს. ყუმბარები დაეცა დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ ქალაქს. სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა. სამოქალაქო ობიექტები უმნიშვნელოდ დაზიანდა. მაგრამ სამოქალაქო მოსახლეობაში დიდძალი დაჭრილია.

29 სექტემბრის განმავლობაში მომხდარი საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 17 ავიაგამანადგურებელი და 1 ყუმბარმშენი. გერმანიის 4 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა".

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 30 სექტემბერი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 29 სექტემბერს ღამით გერმანიის ავიაცია კვლავ დაესხა თავს ლონდონს, ინგლისის შიდა საგრაფოებს და მდინარე მერსეის ველს. ლონდონში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ყველაზე დიდი ხანძარი სიტიში გაჩნდა. სხვა რაიონებში ცეცხლი მალე იქნა ლოკალიზებული. მრავალ ადგილას დანგრეული და დაზიანებულია შენობები. ქალაქში ბევრია მოკლული და დაჭრილი.

ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 10 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 4 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

**ლონდონი,** 30 სექტემბერი. ოფიციალური ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა მოაწყეს რეისი 600 მილზე და გუშინ ყუმბარა დაუშინეს ბერლინის ელექტროსადგურს, მათ შორის ფრიდრიხსფელდის მთავარ სატრანსფორმატორო და გამანაწილებელ ელექტროსადგურს, აგრეთვე საზენიტო ბატარეების განლაგების ადგილს. აფეთქება მოხდა დასახული ობიექტების მახლობლად. ყუმბარა დავუშინეთ აგრეთვე ჩრდილოეთ გერმანიის მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძებსა და აეროდრომებს. მრავალი მძიმე ყუმბარა ჩამოვაგდეთ ვილჰელმსჰაფენის სამხედრო-საზღვაო დოკებში; აქ ძლიერი აფეთქება მოხდა და ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

ბომბარდირების შედეგად ბრემენში და განაუს დიდს საომარ მასალათა ქარხანაშიც ძლიერი აფეთქება მოხდა და ხანძარი გაჩნდა მრავალ ადგილას. ფრანკფურტის ნავთსაცავში დიდი ხანძარი დაიწყო. ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის სხვა შენაერთებმა თავიანთი ოპერაციები უმთავრესად ბულონისა და ჰავრის რაიონების წინააღმდეგ მიჰმართეს. ყუმბარები დავუშინეთ მტრის გემებსა და დოკებს ფეკანსა და ვიმერში (საფრანგეთი). ჰავრში იფეთქა ხანძარმა, რომელიც მოედო მეოთხედ მილ ტერიტორიას ნავსადგურის დასავლეთით. დიდად დაზიანდა სავაჭრო გემები, დოკები და სხვადასხვა ნაგებობანი. ფიქრობენ, რომ ყუმბარა სამჯერ თუ ოთხჯერ მოხვდა პირდაპირ ანტვერპენისა და კალეს რხიონის დოკებს.

გრი ნეს კონცხზე ყუმბარები დავუშინეთ გერმანიის შორსმსროლელი ბატარეების პოზიციებს. ბომბარდირებამ ბევრგან ხანძარი გამოიწვია ტყეში, რომელიც ესაზღვრება ომენის ახლოს მდებარე რკინიგზის ხაზს.

ყუმბარა კვლავ დავუშინეთ საფრანგეთის ნავსადგურს ლერიენს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე.

ღამის ოპერაციების მონაწილე ოთხი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა (საკდესი).

## ინგლის-იტალიის ომი

**რომი,** 30 სექტემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობის ცნობაში ნათქვამია: ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ინგლისის წყალქვეშა ნავმა ნაღმი ესროლა იტალიის პატარა გემს, რომლის წყალწყვა 700 ტონას უდრის. იტალიის ნაღმოსანმა ეს წყალქვეშა ნავი ჩასძირა. გემის ეკიპაჟი გადარჩენილია.

იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ინგლისის საზღვაო ესკადრას მარმარიკის ნაპირებთან. ჩამოგდებულია ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავი. დაზიანებულია მტრის გემი.

იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ჰაიფის საწყობებსა და სანავსადგურო ნაგებობებს. ჩამოგდებულია ინგლისის ერთი თვითმფრინავი. აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ავიაციამ თავდასხმა მოაწყო ბურ გაოზე (სომალი), გურაზე, ასაბსა და პას კარინზე. დაჭრილია ერთი ადგილობრივი მცხოვრები.

**ლონდონი,** 30 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის საჰაერო ძალთა სარდლობის შემდეგს კომუნიკეს: „28 სექტემბერს მტრის ავიაციის მოქმედება დასავლეთ უდაბნოში ნაკლებად აქტიური იყო.

ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ იტალიის ბადრაგას, რომელიც საბარგო ავტომობილებით მიიწევდა წინ 15 კილომეტრზე ბარდიის დასავლეთით.

ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა აგრეთვე მტრის პოზიციებს მადალენის (ლიბია) ფორტთან და მოტოტრანსპორტის ჯგუფს სიდი-ბარანის სამხრეთ-დასავლეთით. ყველა გადმოყრილი ყუმბარა დასახულ ობიექტებს მოხვდა.

კომბოლჩასა და დესიეზე (აბისინია) ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმის დროს ყუმბარა დავაყარეთ აეროდრომებსა და ანგარებს. ბომბარდირებამ ბევრგან აფეთქება გამოიწვია".

# საქართველოს ალკკ XV ყრილობა

29 სექტემბრის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი საქ. ალკკ ც. კ-ისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ცქიტიშვილმა ყრილობას მოუთხრო იმ წარმატებებზე, რომლებიც თბილისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის 13 კომკავშირული ბრიგადა აქტიურად იბრძვის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. საორთქლმავლო დეპოს კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ორდენოსანი შ. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითებს იძლევა. შემდეგ ამხ. ცქიტიშვილი ლაპარაკობს 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელების საკითხებზე და ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების ნაკლოვანებებზე.

— ზუგდიდის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას,—ამბობს კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. გრიგოლია,—თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული საკოლმეურნეო შრომის ფრონტზე; 84 კომკავშირელი და 12 პიონერი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. მარტო სოფ. რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან გამოფენის მონაწილეა 12 კოლმეურნე კომკავშირელი. ამ კოლმეურნეობაში მომუშავე 30 კომკავშირელიდან 25 სტახანოველია და 5 დამკვრელი. კომკავშირელთა საშუალო წლიური გამომუშავება 409 შრომადღეს შეადგენს, დანარჩენ კოლმეურნეთა კი —284 შრომადღეს. ამ კოლმეურნეობის კომკავშირული კომიტეტის მდივანი, ყრილობის დელეგატი ამხ. თოდუა ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 500-600 პროცენტით ასრულებს. მას უკვე გამომუშავებული აქვს 500 შრომადღე, იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. თოდაძემ აღნიშნა, რომ კომკავშირელები წარმატებით მუშაობენ მაღაროებში. კომკავშირელი ქალი მარო კერესელიძე მარგანეცის აწმენდაზე მუშაობს და საწარმოო დავალებებს 150 - 200 პროცენტით ასრულებს, მაგრამ ადგილი აქვს ცალკეულ კომკავშირელთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს.

დიდი **სტალინის** სამშობლო ქალაქის — გორის კომკავშირული ახალგაზრდობის რიგების ზრდის, საბრძოლო მზადყოფნისა და შრომითი წარმატებების შესახებ ილაპარაკა კომკავშირის გორის რაიკომის მდივანმა ამხ. რთველიაშვილმა. საანგარიშო პერიოდში რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებში ახლად მიღებულია 3.614 მოწინავე ახალგაზრდა, მათგან 1.500 ქალი.

საქ. ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ცაგარეიშვილმა რაიონის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების წარმატებებთან ერთად აღნიშნა, რომ ცალკეულ კოლმეურნე კომკავშირელებს მიმდინარე წელს ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების დაწესებული მინიმუმიც კი.

გორი - სტალინირის რკინიგზის ხაზის, სტალინირი - ლენინგორის გზატკეცილის მშენებლობებზე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კომკავშირული ახალგაზრდობის ფერვანული მეთოდით მუშაობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში კომკავშირელთა მონაწილეობის შესახებ ილაპარაკა საქ. ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კაბულოვმა.

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სხირტლაძემ დელეგატების ყურადღება გაამახვილა ფიზკულტურული მუშაობის ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ დღემდე ფიზკულტურული კომიტეტებისა და სპორტულ საზოგადოებათა აპარატების შტატები გაბერილი იყო, ამჟამად საკმაოდ შემცირებულია და უმთავრესად აქტივი მუშაობს ფიზიკური აღზრდის საქმეზე. ეს აქტივი პირველ რიგში კომკავშირული ახალგაზრდობაა.

საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციებში კომკავშირული ახალგაზრდობის მუშაობის წარმატებებისა და ნაკლოვანებების შესახებ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქ. სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სილაგაძე. ამავე სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ერეციანი (საქ. ალკკ ახალქალაქის რაიკომის მდივანი), ალიევი (საქ. ალკკ ახალციხის რაიკომის მდივანი), კობესოვი (№ ნაწილი), ჯავახიშვილი (თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ხეთაგუროვა (საქ. ალკკ სტალინირის რაიკომის მდივანი), ხურცია (საქ. ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი), დათუნაშვილი (გორის რკინიგზის სკოლის ფრიადოსანი მოწაფე), აშიროვი (საქ. ალკკ ლუქსემბურგის რაიკომის მდივანი), დოლიძე (საქ. ალკკ ლანჩხუთის რაიკომის მდივანი), კახელაშვილი (თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ქუთათელაძე (საქ. ალკკ სამტრედიის რაიკომის მდივანი) და ფოფხაძე (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახ. რაიკომის მდივანი).

ყრილობის [illegible] მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. მ. [illegible].

29 სექტემბერს, საღამოს სხდომაზე პირველი გამოდის თბილისის პიონერთა დელეგაცია, რომელსაც დელეგატები მქუხარე ტაშით ხვდებიან. პიონერები მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს კომკავშირის XV ყრილობის დელეგატებს.

შემდეგი სიტყვით გამოვიდა საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ტუსკაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ორდენოსანი აფხაზეთის ახალგაზრდობა აქტიურად იბრძვის ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების კიდევ უფრო ფართოდ დანერგვისათვის, საკოლმეურნეო შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. აფხაზი ახალგაზრდობა ენერგიულად მუშაობს ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებშიც. კომკავშირელი მაღაროელები კვეკვესკირი, მამანტოვი და სხვ. საწარმოო გეგმებს 250-270 პროცენტით ასრულებენ.

— ორდენოსან საქართველოს,— ამბობს საქ. სსრ განსახკომი ამხ. კიკნაძე,—მთელს კავშირში მოწინავე ადგილი უჭირავს საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში. მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს ნაკლოვანებები ამ დარგში. სკოლის ასაკის ბავშვთა ერთი ნაწილი სკოლის გარეშეა. ზოგან ისინი აღრიცხულიც არ არიან. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფ. რუისის მარტო ერთ უბანში, ბუზიაშვილების უბანში, სახელდახელო შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ 8 ბავშვი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. სკოლის ზოგიერთი დირექტორი ბავშვს არ ღებულობს სკოლაში იმიტომ, რომ თითქოს ადგილი არ იყოს. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა თბილისის მე-45 სკოლაში (დირექტორი ამხ. ჯორბენაძე). ეს მეტად მავნე და, შეიძლება ითქვას, ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკაა. შემდეგ ამხ. კიკნაძემ ილაპარაკა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის, ზოგიერთ მასწავლებლის დაბალი მომზადებისა და რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. საქართველოს კომკავშირი,—ამბობს ამხ. კიკნაძე,—ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში და მომავალშიც კიდევ უფრო მეტის გაკეთება მართებს ამ მიმართულებით.

ყრილობის დელეგატები აღფრთოვანებით ხვდებიან საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. სულაბერიძის გამოსვლას. ამხ. სულაბერიძე ლაპარაკობს სოციალისტური სამშობლოს გმირ მებრძოლთა ვაჟკაცობაზე, თეთრფინელთა განადგურების ამბებზე. საბჭოთა კავშირის გმირის სიტყვებს: „ჩვენი ქვეყნის ხალხი იმიტომ იმარჯვებს, რომ წინ მიგვიძღვის დიდი **სტალინი!**" — ხანგრძლივი მქუხარე ტაში ჰფარავს.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მიერ სასკოლო მუშაობაში მიღწეულ შედეგებზე ვრცლად შეჩერდა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. ჟვანია. ბეჭდვითი პროპაგანდის შესახებ ილაპარაკა გაზ. „მოლოდი სტალინეცის" პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. სემინოვმა.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა, ორდენოსანმა პოეტმა ამხ. ი. აბაშიძემ ილაპარაკა ახალგაზრდობის მიერ ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობაზე. შემდეგ იგი შეჩერდა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი მუშაობის ნაკლოვანებებზე. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი კომკავშირელი არ ესწრება კომკავშირულ კრებებსაც კი. ზოგიერთნი ამბობენ— ახლა იგი ზის და ლექსს სწერს, ამიტომ კრებაზე დაუსწრებლობა საპატიოდ ჩაეთვლებაო. ეს ფაქტი და მისი ამგვარი შეფასება ყოვლად შეუწყნარებელია. მწერალი კომკავშირელი საუკეთესოდ უნდა იცნობდეს კომკავშირულ ცხოვრებას და არა მარტო იცნობდეს, არამედ აქტიური მონაწილე უნდა იყოს მისი. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი თანამედროვეობას კარგად არ იცნობს, ამავე დროს წარსულში ეძებს თავისი შემოქმედების მასალას.—საქართველოს კომკავშირი, — ამბობს დასასრულ ამხ. აბაშიძე, — ყოველთვის იბრძოდა ქართული მწერლობის რიგების სიწმინდისათვის და მომავალშიც დიდ დახმარებას გაგვიწევს ლიტერატურული წუნისმკეთებლებისა და მწერლის სახელს ამოფარებული უქნარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყრილობის ამავე სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ალანია (საქ. ალკკ თბილისის ორჯ. სტალინის სახ. რაიკომის მდივანი), რუხაძე (საქ. ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი), ჰითანავა (საქ. ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი), ფერაძე (ტყიბულის სტახანოველი მაღაროელი), მიხაილოვი (საარტილერიო სკოლა), ცქრიალაძე (საქ. ალკკ [illegible] რაიკომის მდივანი) და აგაშენაშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანი).

ყრილობის მესამე სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

სხდომის შემდეგ თბილისის პიონერებმა ყრილობის დელეგატებს უჩვენეს მხატვრული მეტყველების, ცეკვებისა და სიმღერების შესრულების ოსტატობა.

ორი წელი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლიდან

# ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიულ პროპაგანდას



სურათზე: თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომიტეტის მდივანი ამხ. დ. კუჭავა ესაუბრება ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ერთ ჯგუფს, რომლებმაც დაამთავრეს „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა და ამჟამად მუშაობენ მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებზე. ფოტო რ. აკოფოვისა.

## მარქსისტულ-ლენინური თეორიის კლასიკური ნაწარმოები

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს გამოქვეყნება უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის იდეურ ცხოვრებაში.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის მიმდინარეობის ორი წლის გამოცდილება, რათა კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის იდეურ შინაარსს, კიდევ უფრო შევაიარაღოთ ჩვენი ხელმძღვანელი კადრები ბოლშევიზმის ყოვლისშძლე თეორიით.

ბევრი რამ გაკეთდა ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენთანაც. დაიწყო თუ არა პრესის ფურცლებზე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ბეჭდვა, ჩვენი რაიონის აქტივი გულდასმით შეუდგა მის შესწავლას. უჩვეულოდ გაიზარდა ინტერესი თეორიული ლიტერატურისადმი, კონსულტაციებისადმი, გაიზარდა აქტივის მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა.

რაიონული კომიტეტი სისტემატურ დახმარებას უწევდა და უწევს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში. მარტო წელს ჩატარდა 152 ლექცია, რომლებსაც 21.000 კაცი დაესწრო. პარტიულ კაბინეტში ყოველდღიურად ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. რაიკომის პარტკაბინეტის დახმარებით ადგილებზე ატარებენ თეორიულ კონფერენციებს, რაც დიდ დახმარებას უწევს ამხანაგებს თეორიის საკითხების უფრო ღრმად გარკვევაში. დღემდე პირველადს პარტორგანიზაციებში ჩატარებულია 120 ასეთი თეორიული კონფერენცია.

რაიონში 325 ამხანაგმა უკვე დაამთავრა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები ოვაკიმოვი (ჰიდრომეტსამმართველო), მოისწრაფიშვილი (ინდუსტრიული ინსტიტუტი), ჯანელიძე (აბრეშუმის ტრესტი), არუთინოვი (თბილისის მაცივარტრესტი) და სხვ. კარგად ხელმძღვანელობენ პარტიულ პროპაგანდას. ეს ამხანაგები თვითონაც ეუფლებიან მარქსისტულ - ლენინურ თეორიას, ყოველდღიურად ამაღლებენ თავიანთ მარქსისტულ-ლენინურ შეგნებულობას. ამიტომ ისინი კომუნისტებთან გაბედულად საუბრობენ თეორიულ საკითხებზე, უწევენ ამხანაგებს ყოველდღიურ დახმარებასა და საქმიან კონტროლს.

რაიკომის ბიურო სისტემატურად ისმენდა პარტიული პროპაგანდის საკითხებს, ამოწმებდა წრეების მუშაობას, აძლევდა მათ მითითებებს ცალკეულ ნაკლოვანებებზე. ამას წინათ რაიონული კომიტეტის ბიურომ არსებითად შეამოწმა პირველადს პარტორგანიზაციებში პროპაგანდის მდგომარეობის საკითხები, რაც შემდეგ რაიონული კომიტეტის პლენუმის მსჯელობის საგანი გახდა. პლენუმმა დასახა ღონისძიება რაიონში პარტიული პროპაგანდის გასაუმჯობესებლად.

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში პარტიული პროპაგანდის საქმეში ყველაფერი გავაკეთეთ? განა შეიძლება ითქვას, რომ იმ ამხანაგებს, რომლებმაც დაამთავრეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა, მეტი არაფერი აქვთ გასაკეთებელი და შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილდნენ? რასაკვირველია არა. ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები (მაუდის ფაბრიკა, სახელგამის სტამბა და სხვ.) ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ პარტიულ პროპაგანდას, არ ჰქმნიან საზოგადოებრივ - პარტიულ აზრს იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ეუფლება მარქსისტულ - ლენინურ თეორიას.

ჩვენ გვინდა რევოლუციური თეორიის არა ისეთი დაუფლება, როდესაც ზეპირად იციან ესა თუ ის დებულება ან დასკვნა. მარქსისტულ - ლენინური თეორიის შესწავლა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იყო შემოქმედებითი მარქსისტი, შეგეძლოს ამ თეორიის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწავლობდე თვითეულ მოვლენას მის მოძრაობასა და განვითარებაში. იმ კომუნისტებთან საუბარში, ვინც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა დაამთავრა, ხშირად ირკვევა, რომ მათ არ იციან ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მარქსისტულ - ლენინური მეცნიერების ღრმად შესწავლასთან. საჭიროა ისე მოვაწყოთ პარტიული პროპაგანდა, რომ კომუნისტები სწავლობდნენ ფილოსოფიის ისტორიასაც, პოლიტიკურ ეკონომიასაც, ბუნებათმეცნიერებას, ისტორიას, მეცნიერების ყველა იმ დარგს, რომლის დაუფლების გარეშე შეუძლებელია ღრმად შეისწავლო ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია.

პარტიული პროპაგანდის წინაშე ამჟამად დიდი ამოცანები დგას. ჩვენს ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვანი ამბები ხდება. საჭიროა ისე წარვმართოთ პარტიული პროპაგანდა, რომ თანადროულობის საკითხები მეცნიერულ, მარქსისტულ - ლენინურ გაშუქებას პოულობდეს. საჭიროა ვიზრუნოთ ჩვენი პროპაგანდისტული კადრების თეორიული დონის ამაღლებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს არსებითად უხელმძღვანელონ პარტიულ პროპაგანდას, გაბედულად დააყენონ თეორიის საკითხები და ამით ხელი შეუწყონ ჩვენი კადრების თეორიული დონის ამაღლებას. ორი წლის გამოცდილება, რომელიც ჩვენ დავაგროვეთ თეორიის შესწავლის საქმეში, უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ღრმაშინაარსიანი გავხადოთ პარტიული პროპაგანდა.

**გ. გოჩაშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახ. რაიკომის მდივანი.

## პარტაქტივის სწავლება

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმმა ივლისში განიხილა საკითხი რაიონის ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური თვითგანვითარების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა ამ მიმართულებით, მოიპოვება სერიოზული ნაკლოვანებანი. ამხანაგების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ გასცილებია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველ თავს, მეორე მხრივ დამოუკიდებელი მუშაობა ჯერ კიდევ არ ატარებს სისტემატურ ხასიათს. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ თეორიის ინდივიდუალურად შემსწავლელთა მიმართ დახმარება არ ატარებდა კონკრეტულ და დიფერენცირებულ ხასიათს.

მსჯელობის შემდეგ პლენუმი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა პარტაქტივის პოლიტიკური სწავლების უფრო ორგანიზებულად მოწყობა, რისთვისაც მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სემინარების მოწყობა აქტივისათვის.

რაიკომის ბიუროს განსაზღვრით და ამხანაგებთან სრული შეთანხმებით მიღებულ იქნა სემინარების მუშაობის წესი.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი—სემინარებს ემუშავათ თვეში ორჯერ. პირველ მეცადინეობაზე (თვის დასაწყისში) გათვალისწინებული იყო სემინარის ხელმძღვანელის შესავალი ლექცია. მეორე მეცადინეობაზე კი უნდა მოწყობილიყო ამხანაგური საუბარი თემის ირგვლივ.

ასეთმა მეთოდმა პრაქტიკაში გამართლება ჰპოვა.

პარტაქტივის სემინარებმა დაიწყეს მუშაობა 25 ივლისიდან და ისინი მუშაობენ სისტემატურად და გეგმიანად.

მაგალითისათვის შეიძლებოდა გვეჩვენებინა მუშაობა სემინარის ერთი ჯგუფისა, რომელსაც მე თვითონ ვხელმძღვანელობ.

ეს არის საშუალო კადრების ჯგუფი. მასში უმთავრესად შედიან საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, პარტბიუროთა მდივნები და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები.

ჯგუფში თავმოყრილია დაახლოვებით თანაბარი მომზადების ამხანაგები. ჯგუფმა, მსმენელების მოთხოვნის თანახმად, მუშაობა დაიწყო „პრაღის კონფერენციიდან".

ბევრი ამხანაგისათვის ეს სიძნელეს წარმოადგენდა. ცალკეულ საკითხებზე საკმაო „დავაც" ატყდა. კერძოდ „დავა" ატყდა პრაღის კონფერენციის მნიშვნელობის საკითხებზე, ბოლშევიკური პარტიის გაფორმების „ფორმალურ" და „ფაქტიურ" საკითხებზე. მთელ რიგ ამხანაგებს (ი. ელბაქიძეს, ა. ბესტაშვილს) ამ თემის ირგვლივ არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა. კამათში უმრავლესობა ჩაერია. კამათმა მეტად აქტიური ხასიათი მიიღო. საბოლოო განმარტების შემდეგ ამხანაგებმა გამოსთქვეს კმაყოფილება.

ამხანაგებმა მოითხოვეს საუბარი დიალექტიკური მატერიალიზმის, გეოგრაფიის და სხვა საკითხებზე; ეს მოწმობს მათი კულტურული დონის ზრდას. რაიკომს განზრახული აქვს სემინარების მუშაობის თემატიკა შეავსოს სხვადასხვა საკითხებით, რაც აამაღლებს კადრების როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ დონეს. კერძოდ ფართო ადგილი დაეთმობა რაიონის ეკონომიკის შესწავლის საკითხებს.

სემინარების მუშაობაში მოგვეპოვება არსებითი ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ ადგილი აქვს გაცდენებს. მსმენელები ზოგ შემთხვევაში მოუმზადებელი ცხადდებიან. ხელს გვიშლის აგრეთვე სოფლების დიდი მანძილით დაშორება ცენტრიდან. მაგრამ ყოველივე ამის მოსაგვარებლად ჩვენ ვიღებთ სათანადო ზომებს.

**მ. ხუციშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე.

## პროპაგანდისტის საპატიო მოვალეობა

როცა ვაფასებთ განვლილი ორი წლის მუშაობას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი ინტერესი თეორიის შესწავლისადმი, რომელიც გამოიწვია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოქვეყნებამ. წინათ პარტკაბინეტში იშვიათად თუ მოდიოდა მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი—ვთქვათ ბიოლოგი ან მათემატიკოსი. დღეს მათ ხშირად შეხვდებით პარტიულ კაბინეტში. ისინი გაბედულად აყენებენ თეორიის საკითხებს, კონსულტანტებთან თავისუფლად საუბრობენ ფილოსოფიაზე, პარტიის ისტორიაზე, პოლიტეკონომიაზე. დღეს უტყუარი ფაქტია რევოლუციური თეორიის დაუფლებისადმი მისწრაფება.

არსებითად გაუმჯობესდა წრეების მუშაობაც. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით ბოლო მოეღო წრეების მუშაობაში კუსტარულობასა და არაორგანიზებულობას.

წრეს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ ღვინის ქარხანაში (№ 1), კადრების ძირეული რგოლისთვისაა განკუთვნილი. წრეში გაერთიანებულია 14 კაცი. მეცადინეობა დავიწყეთ გასული წლის აგვისტოში.

მე მუშაობაში ვიყენებ ამხანაგური საუბრის მეთოდს, რაც კარგ შედეგს იძლევა. ამხანაგებს ვიწვევ ცოცხალ საუბარში ცალკეული საკითხების დაყენებით. წრის მსმენელები ამ საუბარში აქტიურად მონაწილეობენ. აქტიური მსმენელები არიან ნ. ხეცურიანი, სხირტლაძე, აბაშიძე და სხვ. ისინი ყოველთვის მომზადებული მოდიან მეცადინეობაზე, კითხულობენ მითითებულ მასალას, ადგენენ კონსპექტებს.

საუბრის დროს ფართოდ ვიყენებ რუკებს და დიაგრამებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მსმენელების ინტერესს. ვაწყობთ თემატიურ ექსკურსიებს. მსმენელებმა სამჯერ დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ავლაბრის რესტავრირებული სტამბა.

წრე ამჟამად გადის პარტისტორიის მესამე ეტაპს. წრის მუშაობა განზრახულია დამთავრდეს ოქტომბერში.

ბევრი რამ ახალი მოგვიტანა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამ, იგი ჩვენ გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით.

**ნ. მახარაძე**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისტი.



## იგი გვასწავლის შრომასა და ბრძოლას

ვსწავლობდი და ვასწავლიდი. მაგრამ რაღაც მაკლდა. ამას ალბათ ყველა ჩვენგანი გრძნობდა, განიცდიდა. ახლა ვამბობთ—გვაკლდა ბოლშევიზმის, დიადი სიმართლის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო. სწორედ ამ ორი წლის წინათ მივიღეთ იგი—სტალინური ცენტრალური კომიტეტის, ხალხთა საყვარელი ბელადის ძვირფასი საჩუქარი.

გასული წლის დეკემბერში დავამთავრე პარტიის ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა. მასზე ჩემი მუშაობა სისტემატურ, დაჟინებით ხასიათს ატარებდა. გარდა იმისა, რომ გარკვეული ცოდნა მივიღე, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებიც შემიმუშავდა. ამის შემდეგ დავიწყე „ლენინიზმის საკითხების", ლენინის ქრესტომეულის, სამოქალაქო ომის ისტორიის და სხვა მასალების შესწავლა.

მუშაობაში ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი მქონდა და ახლაც მაქვს — მხატვრულ ლიტერატურას ნაკლებად ვეცნობი. პირდაპირ სირცხვილის გრძნობა მიპყრობს, როცა ბელადის ნაშრომებში კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებიდან აღებულ ტიპებს, აფორიზმებს და შედარებებს ვხვდები. მე მათ ხშირად არ ვიცნობ. ამ ნაკლს უთუოდ გამოვასწორებ.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ყოველი დღე მოწინავე თეორიის დიად ძალაზე მესაუბრება—თუ მას ჰფლობ, ადვილად შეგიძლია გაერკვე ყოველგვარ ვითარებაში, შეგიძლია მეტი ნაყოფიერებით იმუშაო პარტიისა და ხელისუფლების ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებათა გასატარებლად.

მხოლოდ ერთი მაგალითი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება მე გავიგე როგორც კანონად გაფორმება იმისა, რაც დიდ ლენინსა და სტალინს უთქვამთ სოციალისტური შრომის დეზორგანიზატორების, წუნის მკეთებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამხანაგებთან საუბარში მე თავისუფლად ვიყენებდი ლენინისა და სტალინის აზრებს სოციალისტურ შრომის შესახებ, საწარმოებში რკინისებურ დისციპლინის დამყარების შესახებ.

ბოლშევიზმის გმირული ისტორია შრომასა და ბრძოლას გვასწავლის, გამარჯვების გზებს გვასწავლის.

**გ. ბაქრაძე**

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო სავაგონო საამქროს უფროსი, ინჟინერ-მექანიკოსი.



ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. „ლენინი ავტოჯავშნოსანზე". მანიზერის ქანდაკება.

## ჩვენი კადრები ეუფლებიან რევოლუციურ თეორიას

**შ. სამხარაძე**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგიტაციის სექტორის გამგე.

1938 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", რომელიც უდიდესი მოვლენაა ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლით — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წ. 14 ნოემბრის დადგენილებაში,—პარტიამ მიიღო ბოლშევიზმის ახალი მძლავრი იდეური იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია. პარტიის ისტორიის კურსი ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიაა. მასში გადმოცემული და განზოგადებულია კომუნისტური პარტიის გიგანტური გამოცდილება, რომლის თანაბარი არც ჰქონია და არცა აქვს არცერთ პარტიას მსოფლიოში".

ეს წიგნი უდიდეს იარაღს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის. ამ წიგნმა მოგვცა საშუალება სწორად გავიგოთ და ავითვისოთ ჩვენი პარტიის გმირული ისტორია. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ბოლშევიზმის დაუფლების საკითხში. ეს წიგნი მიმართულია პირველ რიგში პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო და სხვა მუშაკთა ხელმძღვანელი კადრებისადმი. მისი შესწავლით ჩვენი კადრები ახდენენ თეორიულ დარგში თავიანთი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. აი რას მოგვითხრობს პარტიის წევრობის კანდიდატი, აგიტატორი ექიმი ა. ბარათაშვილი: „მიზნად დავისახე საფუძვლიანად და ძირითადი წყაროების გამოყენებით შემესწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". ამ მიზნით მუშაობა დავიწყე 1939 წელს. სახელმძღვანელო ორჯერ წავიკითხე გულდასმით, რათა ნათელი წარმოდგენა მქონოდა წიგნში განვითარებულ საკითხებზე, ცალკე თავების მიხედვით ვადგენდი კონსპექტებს. ყურადღებით წავიკითხე ლენინის გენიალური ნაშრომები: „რა ვაკეთოთ?", „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ - დემოკრატების წინააღმდეგ", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" და სხვა. ამჟამად ვკითხულობ სტალინის გენიალურ შრომას „ლენინიზმის საკითხებს". ამ წიგნის წაკითხვამ ნათელი წარმოდგენა მომცა იმ ბრძოლების შესახებ, რომელთაც ატარებდა ჩვენი პარტია ლენინისა და სტალინის მეთაურობით მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ".

აგიტატორი ამხ. ვ. ბუბულაშვილი — რკინიგზის ჰიათურის პარტორგანიზაციიდან — მოგვითხრობს:

„საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ცნობილი დადგენილების შემდეგ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა დამოუკიდებლად დავიწყე. პირველად ვკითხულობდი პარტისტორიის ტექსტს, რომელიც გაზეთში გამოქვეყნდა, ხოლო წიგნად გამოსვლის შემდეგ უფრო სერიოზულად მოვკიდე ხელი მის შესწავლას. ყოველთვის ვადგენდი კონსპექტებს, სისტემატურად ვიყენებდი გაზეთებში მოთავსებულ კონსულტაციებს. მაგალითად, გულდასმით წავიკითხე ჟურნალ „ბოლშევიკში" მოთავსებული კონსულტაცია „ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესახებ", „პარტიულ მშენებლობაში" გამოქვეყნებული კონსულტაცია „ლენინის ბრძოლა გაზეთ „ისკრის" დაარსებისათვის", შესტაკოვის ლექცია „რკინიგზელთა რევოლუციური გამოსვლები 1905 წელს" და სხვ.

წელს მე სამჯერ გამოვედი თეორიულ კონფერენციაზე მომხსენებლად. ამან კიდევ უფრო გაამდიდრა ჩემი აზროვნების ჰორიზონტი და მიმაჩვია მსჯელობას აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ პარტისტორიის მოკლე კურსის საფუძვლიანად შესწავლისას, გზადაგზა ვკითხულობდი ლენინისა და სტალინის ძვირფას შრომებს, ასეთი მუშაობის შედეგად დავამთავრე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ყველა თავის შესწავლა და ახლა მე უფრო ბევრს, უფრო ღრმად ვმუშაობ რევოლუციური თეორიის დაუფლებისათვის.

მიუხედავად ამ წარმატებისა, არ შემიძლია ვსთქვა, რომ საქმე ამოვწურე. პირიქით, თეორიის დაუფლების წყურვილი ჩემში უფრო გაიზარდა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ცოდნა შეძენის საქმეა, რომ მხოლოდ წიგნზე სისტემატური მუშაობით შევძლებ უმოკლეს ხანში დავეუფლო მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად საფუძვლებს".

ყველასათვის ცხადია, რომ ცოდნა არ შეიძინება ერთბაშად, იგი საჭიროებს ხანგრძლივ და ბეჯით მუშაობას თავისთავზე. უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნა ჩვენი პრაქტიკული მუშაობის გასაღებია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებული ჩვენი კადრები ბოლშევიკურად სჭრიან მათ წინაშე მდგარ ამოცანებს.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ მოიპოვებიან მთელი რიგი ამხანაგების, როგორც პარტორგანიზაციის ხელმძღვანელები, ისე რიგითი კომუნისტები, რომელნიც არ შესდგომიან პარტიის ისტორიის შესწავლას და თავს ინუგეშებენ იმით, რომ პრაქტიკული მუშაობით არიან დატვირთული და წიგნზე მუშაობისათვის დრო აღარ რჩებათ. სამტრედიის რაიგაზეთ „სოციალისტური შეტევის" 1 სექტემბრის ნომერში მოყვანილია ასეთი ფაქტი:

„სოფ. ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი კ. რევიშვილი) ძალზე ცუდად არის დაყენებული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლის საქმე. 14 პარტწევრ-კანდიდატიდან პარტისტორიას დამოუკიდებლად მხოლოდ 4 კაცი სწავლობს. ორგანიზაციის მდივნის მოადგილეს ამხ. ნ. მუქერიას დღემდე პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოდან ერთი სტრიქონიც არ წაუკითხავს. კიდევ მეტი, მას პარტისტორიის შესწავლა მოცლილი კაცის საქმედ მიაჩნია. ასევე ცუდად მუშაობენ ბოლშევიზმის გმირული ისტორიის დაუფლებისათვის ს. ნიკურაძე, გ. ტალაბაძე, პ. ქართველიშვილი, ვ. ფოფხაძე, დ. თევზაძე, ე. ხვიჩია და სხვ".

ორჯონიკიძის რაიონიდან (ხარაგოული) ამხანაგები—შარიქაძე და მრევლიშვილი იწერებიან: „ვარძიის მესამე უბნის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ძალიან სუსტად მიმდინარეობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა. კოლმეურნეობასთან არსებული პარტორგანიზაციის წევრთა უმრავლესობას ჯერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველი თავიც არ შეუსწავლია, ზოგი კი ჯერ არ შესდგომია მის შესწავლას. ვ. ღონღაძე, გ. მაჩიტაძე და ნ. მდივნიშვილი ჯერ პირველ თავზე არიან, ხოლო ბ. მდივნიშვილი და კ. კოჩაძე პარტისტორიის შესწავლას ჯერ კიდევ არ შესდგომიან. ბ. მდივნიშვილს, გარდა ამისა, რომ არ დაუწყია პარტისტორიის შესწავლა, ჯერ არ შეუძენია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" სახელმძღვანელო. პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. მდივნიშვილმა ისიც არ იცის, თუ პარტიის რომელი წევრი რომელ თავს სწავლობს, ან რომელს რა დახმარება ესაჭიროება. იგი ერიდება ამხანაგებთან საუბარს პროპაგანდის საკითხებზე, არ სურს გაიგოს რა სიძნელეები ხვდებათ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს და სხვ. მოურიდებლად გვინდა ვსთქვათ, რომ ამხ. მდივნიშვილი თავისთავზე ნაკლებად მუშაობს, ამას ადასტურებს მისი ასეთი განცხადება: „რა ვქნა დილიდან საღამომდე სამუშაოზე ვარ, საღამოთი კი დაღლილს ძილი მჯობნის და სწავლისათვის ნაკლები დრო მრჩება".

ლექციებისა და კონსულტაციების ჩატარების მხრივ ზუგდიდის რაიონში ყველაფერი რიგზე არ არის. პარტრაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ლომაიას განცხადებით აგვისტოში 20 ლექციიდან მხოლოდ ორი ლექცია ჩაატარეს. რაიკომი არ ადგენს ჯგუფური კონსულტაციების გეგმას და გამსვლელი კონსულტაციები ხომ რაიონში არ ტარდება. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სისტემატურად არ სინჯავს ლექტორების კონსპექტებს, მაშინ როცა ზოგიერთი ლექტორი ცუდად კითხულობს ლექციას, მაგალითად ლექტორი გ. ბებია ლექტორობიდან მოიხსნა სუსტი მუშაობისათვის.

საჭიროა ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ამხანაგებს, რომ ჩვენ თეორიულ ჩამორჩენილობას ლიკვიდაციას ვუზამთ მაშინ, თუ განუწყვეტლივ ვიმუშავებთ წიგნზე და შევისწავლით მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალურ შრომებს.

## ვსწავლობთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას

უკვე ორი წელი შესრულდა, რაც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას გულმოდგინედ ეუფლებიან ჩვენი ქვეყნის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. გმირული ბოლშევიკური ისტორიის შესწავლამ დიდი დახმარება გაუწია თვითეულ მუშაკს თავისი იდეური დონის ამაღლებაში.

თბილისის ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ძირითადად გარდაჰქმნა მუშაობა პროპაგანდის დარგში. ფაბრიკაში 420-მდე პარტიის წევრი და კანდიდატი ირიცხება, აქედან 365 კომუნისტი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, დანარჩენები წრეებში არიან გაერთიანებულნი.

ფაბრიკაში 74 პარტიის წევრმა და კანდიდატმა უკვე დაამთავრა პარტიის ისტორიის მოკლე კურსი და შეუდგა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომთა შესწავლას.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლასთან დაკავშირებით, ფაბრიკაში გაიზარდნენ ახალი კადრები. ინჟ. ამხ. ბაგდასაროვი გასულ წელს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში, ამჟამად არჩეულია ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის განთავისუფლებულ მოადგილედ. პარტიის ახალგაზრდა წევრი ა. იუზბაშევა არჩეულია პარტბიუროს მდივნის მეორე მოადგილედ. ინჟ. ლ. კაზაროვი არჩეულია სამექანიკო საამქროს პარტბიუროს მდივნად.

ფაბრიკაში პარტკაბინეტთან ჩამოყალიბებულია ძირეული რგოლის სამი წრე—ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ქართულმა და რუსულმა წრემ უკვე დაამთავრეს მუშაობა. გავლილი პროგრამა კარგად შეითვისეს. სისტემატურად ესწრებოდნენ მეცადინეობას ამხ. ი. ჭაბაშვილი, ა. სტეფანიანი, ჩერნიშოვა, თოფურია და სხვები.

ფაბრიკაში არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც არ ზრუნავენ თავიანთი შეგნებულობის ამაღლებაზე, არ ასრულებენ პარტიის წესდებას, არ ესწრებიან ლექციებს და კონსულტაციებს და სხვ. ასეთებია, მაგალითად, ამხ. ჩახოიანი (მეორე საამქროს უფროსი), ასანიშვილი, შახბაზოვა. პარტორგანიზაციამ უნდა იმსჯელოს მათ შესახებ.

**ვ. კოზიაშვილი**

თბილისის ლ. ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკასთან არსებული პარტკაბინეტის გამგე.

## ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). „ნიუ-იორკ-ტაიმსის" ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა [illegible] განაცხადა, რომ [illegible] სამინისტრომ დასდო კონტრაქტი [illegible] 13 [illegible] 5.252 [illegible] შესაძლებლობა, რომ იგი გადადგება მის ხელმძღვანელობისაგან. [illegible]

## ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე კვირის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოითხოვდა, რათა საფრანგეთის მთავრობას გაეგზავნა ინდო-ჩინეთში 130-მდე სამხედრო თვითმფრინავი, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიჰყიდეს საფრანგეთს. ეს თვითმფრინავები ამჟამად ავიამზიდ „ბეარნზეა", რომელიც კუნძულ მარტინიკთან დგას. საფრანგეთმა უარი განაცხადა ამ თხოვნის შესრულებაზე. თვითმფრინავები რომ ინდო-ჩინეთში გაეგზავნათ, აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ისინი ალბათ შესძლებდნენ იაპონელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ამერიკის ხელისუფალთ, როგორც ჩანს, არ სურთ თვითმფრინავებით მოამარაგონ საფრანგეთი. დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ამერიკის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა, რათა საფრანგეთს დაებრუნებინა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის კუნძულ მარტინიკზე მყოფი თვითმფრინავები.

## ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა

**ნიუ-იორკი,** 29 სექტემბერი (საკდესი). რუზველტმა 26 სექტემბერს ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლის თანახმად საექსპორტო-საიმპორტო ბანკს დამატებით ეძლევა 500 მილიონი დოლარი ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის სესხის მისაცემად. ეს ახალი ნაბიჯია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების განსამტკიცებლად ლათინურ ამერიკაში. ომის დაწყების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ გერმანია და ინგლისი დაბანდებული არიან ევროპაში, ძალიან გაადიდეს თავიანთი ექსპორტი ლათინურ ამერიკაში. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საერთო ექსპორტი ლათინურ ამერიკაში 239 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო გასული წლის ამავე პერიოდში — 141 მილიონს. სექტემბერში ექსპორტი ამ ქვეყნებში ერთბაშად შემცირდა, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ხსენებულ ქვეყნებში ვალუტის დიდი ნაკლებობაა.

## ომი და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობა

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). საომარი მზადება ჯერ კიდევ სტიმულს იძლევა ამერიკის მრეწველობის წარმოების გაფართოებისათვის. ფედერალური სარეზერვო სამმართველოს ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ინდექსი აგვისტოში შეადგენდა 123-ს, გასული წლის აგვისტოში კი 104-ს. ინდექსის ზრდას ფედერალური სარეზერვო სამმართველო ხსნის მძიმე მრეწველობის წარმოების, აგრეთვე მრეწველობის ყველა სხვა იმ დარგის წარმოების გადიდებით, რომლებიც დაკავშირებული არიან შეიარაღების პროგრამის განხორციელებასთან. ამერიკის რკინისა და ფოლადის ინსტიტუტი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფოლადსასხმელო მრეწველობის დატვირთვა ერთი კვირის განმავლობაში 23 სექტემბრისათვის შეადგენდა 92,9 პროცენტს, ხოლო გასული წლის სათანადო პერიოდში 79,3 პროცენტს.

გასულ კვირას გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრომ განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღების პროგრამა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს საქმიან აქტივობაზე". სამინისტროს სიტყვით, არმიისა და ფლოტის ხარჯებმა ივნისში მიაღწია 153 მილიონ დოლარს, ივლისში — 177 მილიონ დოლარს და აგვისტოში — 199 მილიონ დოლარს.

„კლივლენდ ტრასტ კომპანი ბიულეტენის" სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, გემთსაშენ, საავიაციო, დაზგათსაშენ და ალუმინის მრეწველობაში, აგრეთვე ფეთქებად ნივთიერებათა დამამზადებელ საწარმოებში მუშაობს 326 ათასი მუშა მაშინ, როცა 1938 წლის დამდეგს 200 ათასი კაცი მუშაობდა. ახალმა მშენებლობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1930 წლიდან მოკიდებული ამა წლის სექტემბრის პირველ ნახევარში უმაღლეს დონეს მიაღწია, რაც აგრეთვე აიხსნება მრეწველობის სამხედრო დარგთა საწარმოო სიმძლავრის გადიდებით და კერძო მშენებლობის გაფართოებით სახელმწიფოს სამხედრო ცენტრებში.

უცხოეთის ბაზრები ისევ გაცილებით უფრო მეტ ამერიკულ საქონელს ნთქავენ, ვიდრე გასულ წელს. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ბრიტანეთის იმპერიამ შეისყიდა ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ექსპორტის ნახევარზე მეტი.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მშენებლობის შესახებ ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობებში ხაზგასმულია ამ სეზონისათვის უმაგალითო ზრდა მშენებლობისა, რის სტიმულსაც აგრეთვე შეიარაღების პროგრამა იძლევა. ამერიკის შეერთებული შტატების 37 აღმოსავლეთ შტატში ახალი სამშენებლო კონტრაქტების ღირებულებამ აგვისტოში მიაღწია 415 მილიონ დოლარს, მაშასადამე, უმაღლეს დონეს 1930 წლიდან მოკიდებული.

წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა ემჩნევა აგრეთვე ავტომობილების მშენებლობას, ნავთისა და ქიმიურ მრეწველობას.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა აგვისტოში თითქმის არ შეცვლილა. აქტივობა, რაც შემჩნეულია შინაურ ბაზრებზე, მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების უცხოური ბაზრების დაკარგვას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებმა მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში აიწია. ფასების ინდექსი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, აგვისტოში შეადგენდა 96-ს მაშინ, როცა 1939 წლის აგვისტოში იგი შეადგენდა 88-ს. ოფიციალური შეფასებით, მოსავალმა წელს მეტად მაღალ დონეს მიაღწია. ბამბის მოსავალი შეადგენს 12.800 ათას ნაკრაულს. 15 სექტემბერს ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გამოაცხადა, რომ ბამბის ექსპორტი აგვისტოდან შუა სექტემბრამდე შეადგენდა მხოლოდ 88 ათას ნაკრაულს მაშინ, როცა გასული წლის ამავე პერიოდში იგი 436 ათას ნაკრაულს უდრიდა. ხორბლის მოსავალი მთავრობის მიერ შეფასებულია 783 მილიონი ბუშელის რაოდენობით, ხოლო შარშან იგი 755 მილიონ ბუშელს შეადგენდა. გასული წლის მოსავლის დაახლოებით 250 მილიონი ბუშელი ხორბალი დღემდე საწყობებში ინახება.

სტატისტიკური ცნობებით, ამ ბოლო დროს გაიზარდა მრეწველობის სამხედრო დარგების მუშათა რიცხვი, მაგრამ უმუშევართა არმია თითქმის არ შემცირებულა. შრომის სამინისტროს ცნობით, ივლისში მრეწველობაში (გარდა სოფლის მეურნეობისა) მუშაობდა 35.600 ათასი კაცი, რაც თითქმის 1 მილიონით აღემატება შარშანდელ ციფრს. ოფიციალური ცნობებით, უმუშევართა რაოდენობა ივნისში 10.193 ათასს უდრიდა. შარშანდელთან შედარებით ცხოვრება გაძვირდა.

შრომის სამინისტროს ცნობებით, კვების პროდუქტების საცალო ფასების ინდექსმა შუა აგვისტოში 96,2 მიაღწია მაშინ, როცა 1939 წლის აგვისტოში იგი 93,4 შეადგენდა.

## საფრანგეთში შეიქმნა ნაციონალ-სოციალისტური პარტია

**ნიუ-იორკი,** 28 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" კორესპონდენტი, რომელიც ვიშში იმყოფება, იუწყება, რომ ანდრიენ მარკემ პარიზში შექმნა ახალი „საფრანგეთის ნაციონალ-სოციალისტური პარტია".

## ინგლისის ულტიმატუმი მადაგასკარის მიმართ

**ლიონი,** 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, მადაგასკარის გენერალ-გუბერნატორმა კიილამ საფრანგეთის მთავრობას აცნობა, რომ მან რადიოთი მიიღო ინგლისის ულტიმატუმი: ულტიმატუმში აღნიშნული იყო: თუ მადაგასკარი საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებას დაემორჩილება, საფრანგეთის ამ კოლონიასა და დანარჩენ ქვეყანას შორის საზღვაო მიმოსვლა შეწყვეტილი იქნებაო. ამასთანავე ხაზგასმული იყო, რომ მადაგასკარის მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ თანამშრომლობა დამყარდება მადაგასკარის ხელისუფლებასა და ინგლისს შორის.

**ნიუ-იორკი,** 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვიშში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მადაგასკარის ხელისუფლებამ ინგლისის ულტიმატუმი უარჰყო. საფრანგეთს მადაგასკართან კავშირი აქვს რადიოთი. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ საზღვაო კავშირი მადაგასკართან შესწყდა.

## გერმანიის მთავრობის ნორვეგიის კომისრის ბრძანება

**ოსლო,** 29 სექტემბერი (საკდესი). გუშინ გამოქვეყნდა რაიხსკომისრის ტერბოვენის ბრძანება:

„ნორვეგიაში სახელმწიფო მოვალეობათა შესრულების შესახებ ჰიტლერის ბრძანების მეორე მუხლის შესაბამისად ვიძლევი შემდეგ ბრძანებას:

1. ნორვეგიის პოლიტიკური პარტიები და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები დაშლილია. უნდა დაიშალონ დამხმარე ორგანიზაციებიც, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ემხრობიან, კავშირები და გაერთიანებანი. გამონაკლისს შეადგენენ „ნაციონალური ერთიანობის პარტია" და მისი მომხრე ორგანიზაციები.

2. საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ორგანიზაცია უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ ორგანიზაციად, რაიხსკომისარი სწყვეტს და მის გადაწყვეტილებას სასამართლოს გადაწყვეტილების ხასიათი აქვს.

3. პირველი პუნქტის შესაბამისად დაშლილ ორგანიზაციათა ქონების ლიკვიდაციისათვის რწმუნებულებს ნიშნავს რაიხსკომისარი.

4. ის პირნი, რომლებიც პირველი პუნქტის შესაბამისად დაშლილ ორგანიზაციებთან ორგანიზაციულ კავშირურთიერთობის შენარჩუნებას იკისრებენ, ან ის პირნი, რომლებიც რაიმე ახალ ორგანიზაციას შექმნიან, კატორღაში იქნებიან გაგზავნილნი სამ წლამდე ვადით ან მოთავსებული იქნებიან საპატიმროში. ასეთივე სასჯელი დაედება იმ პირთ, რომლებიც განაგრძობენ დაშლილ ორგანიზაციათა მუშაობას. ამ საქმეთა საწარმოებლად ინიშნება სპეციალური სასამართლოები. სასამართლოთა მოწყობის დეტალებს რაიხსკომისარი აწესებს.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა".

## ჩიანოს ლაპარაკი ჰიტლერთან

**ბერლინი,** 28 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს, შუადღისას, ჰიტლერმა მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო, რომელსაც დიდ ხანს ესაუბრა.

## ბულგარეთის ჯარი სამხრეთ-დობრუჯის მესამე ზონაში შევიდა

**სოფია,** 28 სექტემბერი (საკდესი). გუშინ, საღამოს, ბულგარეთის მესამე არმიის ნაწილებმა დაიკავეს გამოსავალი პოზიციები სამხრეთ დობრუჯის მესამე ზონის გასწვრივ. დღეს, დილის 9 საათზე დაიწყო ზონის დაკავება.

## ინგლის-რუმინეთის ურთიერთობა

**ლონდონი,** 29 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის მთავრობამ რუმინეთის ხელისუფალთ მოსთხოვა დაუყოვნებლივ განემარტეთ, თუ რა მიზეზით დააპატიმრეს და სცემეს ამერიკის ნავთის კომპანიის „სტიაუა რომინას" ორი ინგლისელ თანამშრომელს. როგორც იუწყებიან, პლოეშტში დაპატიმრებულია საქმიანი წრეების ორი ინგლისელი წარმომადგენელი.

## ინგლისის პროტესტი რუმინეთისადმი

**ლონდონი,** 29 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ჰალიფაქსმა საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვია რუმინეთის საქმეთა რწმუნებული და მოსთხოვა მას განმარტება, თუ რა მიზეზით იქნა ბუქარესტში დაპატიმრებული ინგლისის ხუთი ქვეშევრდომი. ჰალიფაქსმა აგრეთვე პროტესტი განუცხადა მას რუმინეთში ინგლისის ქვეშევრდომებისადმი მოპყრობის მეთოდების წინააღმდეგ.

## რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

**ბუქარესტი,** 29 სექტემბერი (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, 14 კაცი რუმინეთის ყოფილი მთავრობის შემადგენლობიდან შინაურ პატიმრობაში იმყოფება, „რათა ისინი დაცულ იქნან ყოველგვარი ძალადობისაგან და ბოლო მოეღოს მათ არალეგალურ აგიტაციას. თანაც ისინი გამოძიებაში იმყოფებიან".

დაპატიმრებულთა შორის არიან: ყოფილი პრემიერ-მინისტრი არჯეტოიანუ, ყოფილი ჟანდარმთა კორპუსის მეთაური გენერალი ბენტოიუ, რუმინეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გენერალ ილკუსუ, ბუქარესტის პოლიციის ყოფილი პრეფექტი მარინესკუ, იუსტიციის ყოფილი მინისტრი იამანდი, ორგანიზაცია „სტრაჟე ცერის" ყოფილი უფროსი სიდოროვიჩი, ყოფილი მინისტრი გელმეჯიანუ, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე პროპაგანდის დარგში ტიტეანუ და ჟურნალისტი პეტრესკუ.

## შეთანხმება ინგლისსა და თურქეთს შორის

**ლონდონი,** 28 სექტემბერი (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ანკარაში ინგლისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას, რომლის მიზანია არსებული ეკონომიური ხელშეკრულების გაფართოება.

## თურქეთ-რუმინეთის ეკონომიური შეთანხმება

**ბერლინი,** 29 სექტემბერი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ თურქეთ-რუმინეთის შეთანხმება ითვალისწინებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას 35 მილიონი თურქული გირვანქის რაოდენობით და ძალაში რჩება ერთი წლით. თურქეთის საფეიქრო ნედლეული რუმინეთში გატანილ იქნება 20 მილიონი თურქული გირვანქის ღირებულებისა, რის სანაცვლოდ თურქეთი შეზიდავს რუმინეთის ნავთს.



თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, სწავლის ფრიადოსნები ი. ლოლაშვილი (მარცხნივ) და ნ. კეროსელიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## თბილისის სახელმწიფო ცირკის სეზონის გახსნა

დღეს შესდგება თბილისის სახელმწიფო ცირკის საშემოდგომო-საზამთრო სეზონის გახსნა. დამთავრებულია წინასწარი მზადება, გამზადებულია საცირკო სანახაობათა პირველი ციკლის პროგრამა და საღამოს 9 საათზე საბჭოთა საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები წარსდგებიან თბილისის მაყურებლების წინაშე თავისი მრავალფეროვანი პროგრამით.

სეზონის გახსნის აღსანიშნავად გაიმართება ალეგორი-პროლოგი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საცირკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის მსახიობები, ფიზკულტურელები და ორკესტრები. პროლოგის შემდეგ დაიწყება საცირკო სანახაობანი. პირველი ციკლის პროგრამა, რომელიაც სეზონი იწყება, საინტერესოდ არის შედგენილი. სხვა სანახაობათა შორის აღსანიშნავია ორი ატრაქციონი — „მუსიკალურ-ექსცენტრიული და ბუფონადური ჯაზი, რომელსაც ხელმძღვანელობს ორდენოსანი ლ. ტანტი და „ფრენა თვითმფრინავით ცირკის თაღში" სამი სანტოსის მონაწილეობით. პროგრამაში შეტანილია ცხენების ჯირითი. სანახაობათა ეს ჟანრი წელს თბილისის ცირკში წარმოდგენილი იქნება ფართოდ და საინტერესოდ. ცხენების მწვრთნელად გამოდის ორდენოსანი პ. მანჯელი.

პაუზებისას მანეჟზე იმუშავებს ნიჭიერი კომიკოსი მსახიობი ლეონი. თბილისის სახელმწიფო ცირკს ჰყავს საუკეთესო ჯაზ-ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. ამდურსკი.

მომავალი სეზონის შესახებ ცირკის დირექციამ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ცირკის წლევანდელი სეზონი, ვფიქრობთ, ორიგინალური და მეტად საინტერესო იქნება. საბჭოთა საცირკო ხელოვნების საუკეთესო ატრაქციონები, მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო ცირკების საუკეთესო დადგმები ნაჩვენები იქნება თბილისის ცირკში. საკმარისია დავასახელოთ, რომ მიმდინარე სეზონზე ჩვენთან ჩამოვლენ და თავიანთი ოსტატობის მაღალ კლასს გვიჩვენებენ — ილუზიონისტი კიო თავისი 75 ასისტენტით, ლილიპუტების კინო-ჯაზი, ცხოველთა ცნობილი მწვრთნელი იური დუროვი, ბოშათა ანსამბლი და სხვ.

ეჭვი არ არის, რომ სანახაობათა ხასიათისა და ხარისხის გაუმჯობესებით, აგრეთვე პროგრამის მრავალფეროვნებით თბილისის ცირკი წელს დიდძალ მაყურებელს მიიზიდავს, ამიტომ, მაყურებელთა უკეთესად მომსახურების მიზნით, გადაწყვეტილი გვაქვს ახლო ხანში, მოსკოვის სახელმწიფო ცირკის გამოცდილების მიხედვით, გამოვუშვათ ინდივიდუალური სააბონემენტო წიგნაკები.

## საბჭოთა კავშირის გმირების მოედანზე

საბჭოთა კავშირის გმირების მოედანზე (თბილისი) დაწყებულია ახალი საშუშაოები ცირკის ახალ შენობასთან მისასვლელი დიდი ქვის ტრაპის კიბის გასაკეთებლად. დასაწყისში კიბეს ორი შტო ექნება, ერთი ჩელუსკინელთა ქუჩიდან და მეორე სანაპირო ქუჩიდან ასასვლელად. კიბის ორივე ნაწილი შეერთდება პავილიონს, სადაც მოეწყობენ საბილეთო სალაროებს.

კიბის ვერტიკალური სიმაღლე 24 მეტრს აღწევს, მას 200-მდე საფეხური ექნება და გაფორმებული იქნება მხატვრულად.

კიბის მშენებლობა მინდობილი აქვს ობილმშენს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. მშენებლობა დამთავრდება დეკემბერში.

## აკაკი წერეთლის საიუბილეო გამოფენა

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო რესპუბლიკური გამოფენა (საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში) დიდი წარმატებით სარგებლობს. გამოფენას ყოველდღიურად ნახულობენ ექსკურსიები. შთაბეჭდილებათა წიგნში მნახველები მაღალ შეფასებას აძლევენ გამოფენას და მოითხოვენ მის გაგრძელებას.

ამჟამად საქ. სახ. ლიტერატურულმა მუზეუმმა გამოფენა კიდევ ახალი ექსპონატებით, სურათებითა და ხელნაწერებით შეავსო.

გამოფენა 3 თვეს გაგრძელდება.

## ხევსურეთის ექსპედიციამ დაამთავრა მუშაობა

თბილისში დაბრუნდა ხევსურეთის ექსპედიცია, რომელიც მოწყობილი იყო თბილისის ალპიური კლუბის მიერ. ამ ექსპედიციის მიერ პირველად იქნა დაპყრობილი ცენტრალური ხევსურეთის ალპები, რომელშიც შედის ჯგუფი მწვერვალებისა: მახის მაღალი, მაისტის მთა, აწუნთას მთა და სხვ. ამავე ექსპედიციამ მოახდინა ხუთი ახალი ასვლა მწვერვალებზე, გადაიარა სამი ახალი უღელტეხილი და ორი ტრავერსი.

ექსპედიციის სამეცნიერო-საკვლევი ნაწილის მიერ ხონის ქალის ხეობაში აღმოჩენილია ტყვიისა და სპილენძის მადნები, ხოლო მახის მაღლის მთის რაიონში არსენოპირიტი. აღნიშნული მადნების ადგილმდებარეობა და მათი ნიმუშები გადაეცა ადგილობრივად მომუშავე გეოლოგებს, რომლებიც ხევსურეთში კვლევით მუშაობას აწარმოებენ.

ექსპედიციის მონაწილე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა გააკეთეს ხევსურეთის ყოფაცხოვრებიდან და მათი ძველი ცენტრის შატილის და „მკვდარ ქალაქ" მუწოს ნახატები. ისტორიულ-რევოლუციური ობიექტებიდან კი დახატულია სახლი, სადაც ერთ დროს ცხოვრობდნენ ამხ. სერგო ორჯონიკიძე და ფ. მახარაძე.

ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა პირველი ხევსური-ალპინისტი, ძველი შატილის მცხოვრები სადარა ჭინჭარაული. ექსპედიციის ყველა მასალა და ნახატები მუშავდება და წარმოდგენილი იქნება ალპიური კლუბის გამოფენაზე, რომელიც მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ალპინიზმის ინსტრუქტორი-ქალი სელმა ბილხენი.

**ვ. ახმეტელი.**

## ახალი მუსიკალური სიმფონია

30 სექტემბერს, დღის 2 საათზე საქ. რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით გადაცემულ იქნა კომპოზიტორ ძ. მეღვინეთ-უხუცესის ახალი მუსიკალური ნაწარმოები — მეოთხე „სვანური" სიმფონია. სიმფონიას, რომელსაც საფუძვლად უდევს სვანური ფოლკლორი, სამი ნაწილისაგან შესდგება. პირველ ნაწილს—რონდოს ეწოდება „გათენებამდე", მეორეს—სკერცოს — „განთიადი", ხოლო უკანასკნელს — „გამარჯვება".

გადაცემას რადიოკომიტეტში ესწრებოდნენ მუსიკის მცოდნეები, კომპოზიტორები, რეჟისორები, დირიჟორები და სხვ. გადაცემის შემდეგ მათ შორის გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კომპოზიტორ ძ. მეღვინეთ-უხუცესის ნაწარმოებმა საერთო მოწონება ჰპოვა დამსწრეთა შორის.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „პარტიული ბილეთი", **დღისით** — „მეოთხე პერისკოპი", **ოქტომბერი** — „დიდი ვალსი", **დამკვრელი** (ზამთრის) — „გადასასვლელი", **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ლამე სექტემბერში", **დღისით** — „ლენინი 1918 წელს", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „სტეფანე რაზინი". **ლუქსემბურგის სახ.** — „არინკა", **სპარტაკი** — „პიშკა", **კომინტერნი** — „საყვარელი ქალიშვილი", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „დურსუნ", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „უკანასკნელი მასკარადი", **განთიადი** — „დუნაიზე", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „ჯულბარსი", **წითელი არმიის სახლი** — „მეოთხე პერისკოპი", **წითელი არმიის სახლის პარკი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „არშაულა".

## დოღი

### ცხენების გამოცდის მესამე დღე

საშემოდგომო დოღის სეზონი თანდათან მეტ ყურადღებას იპყრობს. ცხენების გამოცდის წინა ორ დღეზე მეტად საინტერესო გამოდგა მესამე დღე — 29 სექტემბერი. ამ დღეს იპოდრომზე დიდძალი მაყურებლების წინაშე გაიმართა 8 დოღი.

პირველი დოღი გაიმართა 4-წლიანი ცხენებისათვის 1500 მეტრის მანძილზე. გამარჯვება წილად ხვდა თბილისის საცხენოსნო-სპორტული სკოლის „სპარტაკის" ცხენს „იამატოს" (მხედარი — მ. პოპოვი).

მეორე დოღში 1200 მეტრის მანძილზე შეაჯიბრეს ორ-ორ წლიანი მაღალსისხლიანი ჯიშის კვიცები. გამარჯვება მოიპოვა ყულარის ცხენთსაშენის კვიცმა „ეზხიანმა", რომელმაც მანძილი 1 წ. 20 წამში გაირბინა (მხედარი — ს. მიჩკა).

ასეთსავე მანძილზე გაიმართა მესამე დოღი ორწლიანი წმინდა სისხლის კვიცებისათვის. ამ დოღში ფინიშთან პირველი მოვიდა და პირველობა მოიპოვა მუხროვანის ცხენთსაშენის კვიცმა „გარდაბანმა", რომელმაც 1200 მეტრი გაირბინა 1 წუთსა და 2 წამში. (მხედარი—ა. ბარკოვსკი).

ყველაზე საინტერესო გამოდგა მეოთხე დოღი 3-წლიანი ცხენებისათვის. მანძილი დანიშნული იყო 2000 მეტრი. მონაწილეობას იღებდა 3 ცხენი. მათ შორის პირველობა დარჩა „ელიზბარს" (მუხროვანის ცხენთსაშენი). მეორე ადგილზე მოვიდა „ლამარა" (ყულარის ცხენთსაშენი).

მეხუთე დოღში 1600 მეტრის მანძილზე გაიმარჯვა მუხროვანის ცხენთსაშენის წმინდასისხლიანმა ცხენმა „ტაიჰმა", მეექვსე დოღში 2000 მეტრის მანძილზე—თბილისის ცხენთსაშენი ქართხის ნახევარსისხლიანმა ცხენმა „არჭანამ" და მეშვიდე დოღში—მუხროვანის ცხენთსაშენის წმინდასისხლიანმა ჯიშმა „რიერაჟმა".

მერვე დოღი გაიმართა ნახევარსისხლიანი 2-წლიანი კვიცებისათვის 1200 მეტრის მანძილზე. გამარჯვება ყულარის ცხენთსაშენის კვიცმა „უდიმ".

**დ.**

## კოლმეურნეთა ახალი სახლი თბილისში

რაიონებიდან ჩამოსულ კოლმეურნეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილია თბილისში აშენდეს კოლმეურნეთა ახალი სახლი. სახლი აგებული იქნება ჩელუსკინელებისა და სურამის ქუჩის კუთხეში. ჩელუსკინელთა ქუჩის მხრიდან სახლი 5-სართულიანი იქნება. პირველი სართული გათვალისწინებულია მაღაზიებისათვის.

აღნიშნულ ადგილზე თბილისის საბჭოს აღმასკომმა უკვე გამოჰყო მიწის ნაკვეთი 1.400 კვადრატული მეტრის რაოდენობით. შენობები, რომლებიც ამ ნაკვეთზეა, აღებული იქნება.

კოლმეურნეთა ახალი სახლის სამშენებლო პროექტის დამუშავება დაწყებულია.

## ლექცია

**1 ოქტომბერს,** საღ. 8 ს. 30 წ., საქართველოს სახელმწიფო ესტრადის (პლეხანოვის პრ., № 123) შენობაში შესდგება დოც. **ბაჯაძის** ლექცია თემაზე: **„ლენინი და სტალინი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ".**

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი** წინადადებას იძლევა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების პარტსტატისტიკისა და ერთიანი პარტბილეთის სექტორში 2 დღის ვადაში გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ვარლამოვი,** ეკატერინე გრიგოლის-ასული **ისაევა,** ვლადიმერ თედორეს-ძე **კარპოვი,** ვლადიმერ ილარიონის-ძე **ვაშაკიძე,** მკრტიჩ ოგანეზის-ძე **მესროპოვი,** მიხეილ ზაქარიას-ძე **პლოტკინი,** ვასილ სტეფანეს-ძე **გარიშვილი,** ესტატე სოლომონის-ძე **სიდამონიძე,** ნიკოლოზ ლავრენტის-ძე **ბუგულოვი,** ბორის ივანეს-ძე **ბუმბიაშვილი,** ქსენია ნესტორის-ასული **დევდარიანი,** ნინო მიხეილის-ასული **ზანდუკელი,** ევსევი ეპიფანეს-ძე **მგალობლიშვილი,** თამარ სამსონის-ასული **ფხაკაძე,** ივანე ზაქარიას-ძე **სინდეევი,** ხაჩიკ არტაშესის-ძე **ხაჩატუროვი,** სიმონ არკადის-ძე **პაპოიანი,** ოგანეზ გასპარის-ძე **ლარიბოვი,** სერგო არკადის-ძე **სულთანოვი,** გიორგი გერასიმეს-ძე **მეზურიშვილი** და გიორგი გიორგის-ძე **შიოშვილი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**


**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

1940-41 წ. წ. სეზონი

1 ოქტომბერს **გიორგი სააკაძე**

2 ოქტომბერს **გრაფის ქვრივი**

3 ოქტომბერს **გიორგი სააკაძე**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12 ს-დან საღ. 9 საათამდე. აბონემენტების გაცემა გრძელდება.

**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

1940-41 წ. წ. სეზონი.

1 ოქტომბერს სერია მე-4 აბ. მე-2 წარ. **გიორგი სააკაძე**

2 ოქტომბერს სერია მე-3 აბ. მე-2 წარმ. **მადამ სან-ჟენ**

3 ოქტომბერს სერია მე-5 აბ. მე-2 წარმ. **კოლმეურნის ქორწინება**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი**

| 1 ოქტომბერს | 2 ოქტომბერს | 3 ოქტომბერს |
| --- | --- | --- |
| აბონემენტის გარეშე | აბონემენტის გარეშე | აბონემენტის გარეშე |
| **ბაღჩისარაის შადრევანი** | **დეკუტატი** | **ტრავიატა** |

დაწყებულია მე-2 მორიგი გადასახადის მიღება ყველა აბონემენტის მიხედვით.

**საბილეთო სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე და 5-დან საღ. 9 საათამდე.**

**სააბონემენტო სალარო ღიაა დილის 11-დან 5 საათამდე და საღ. 7-დან 9 ს-მდე.**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

**თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის დირექცია აცხადებს მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ კურორტის სანჰიგიენური განყოფილება ა. წ. 28 სექტემბრიდან დროებით იხურება შენობის რეკონსტრუქციის გამო.**

გახსნა გამოცხადებული იქნება. 85

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ა ც ხ ა დ ე ბ ს,**

**რომ 1940 წლის 1 ნოემბერს, საღამოს 9-10 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში** (ლუნაჩარსკის ქ. № 12) **მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:**

1) ექ. დერმატო-ვენეროლოგი **იონა ერასტის-ძე გაბიჩვაძე:** **„ციტრატული და გონოკულტურანარევი სისხლის დალექვის პროგნოსტიული მნიშვნელობა მამაკაცთა გონორეის დროს".**

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან მედ მეცნ. დოქტ. პროფ. **პ. ბუაჩიძე** და მედ. მეცნ. დოქტ. პროფ. **ვლ. ანთაძე.**

2) ჰოსპიტ. ქირურგიული კლინიკის ასპირანტი **ვალერიან კონსტანტინეს-ძე კვერენჩხილაძე** თემაზე: **„სახარდულის თიაქრები, მათი მკურნალობა და შორეული შედეგები კლინიკის მასალის მიხედვით".**

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან მედ. დოქტ. პროფ. **ქ. ერისთავი** და მედ. დოქტ. **მ. ჩაჩავა.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ., № 12).

1186

**დ ი რ ე ქ ც ი ა.**

**დაკარგულია** ბერიას სახელობის რაიონის წითელი ჯვრის რაიკომის მრგვალი ბეჭედი ჩ. გ. 8119

მშობლები ქეთო ჩუბინიძე, ალიოშა ტუღუში, ბებიები მარინე და ელისაბედი, ბაბუა კონსტანტინე ტუღუში შვილებით იუწყებიან პატარა **ზ უ ლ ს უ ნ დ ი ს** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 ს. დაკრძალვა 3/X კალანდაძის 29.

მშობლები ჟორა მსხილაძე, ლიდა მახარაშვილი იუწყებიან **პატარა ელდარ მსხილაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1/X 6 ს. კლარა-ცეტკინის, 81. 8122

შვილი ნინიკო, დები ბაბალე, ნინო, ეკატერინე, სოფიო, ძმა სერგო შვილებით იუწყებიან **ლიზა ეგიაზაროვას** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/X 4 ს. ფალიაშვილის, 17. 8121

ქალიშვილები მაშო, თამარ იუწყებიან მამის **ლუკა ხაინდრავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. ივანდიდში (წულუკიძის რ.). 8123

ჯანსახკომის ეპიდსამმართველოს თანამშრომლები ბეჟანოვი, ჩხოლარია, გაბრიჩიძე, ნიკოლეიშვილი, თაქთაქიშვილი, ედიგარაშვილი, ჯაში, დოლიძე, გველესიანი იუწყებიან ექიმ ნესტორ ბოკუჩავას შვილის **ო თ ა რ ი ს** გარდაცვალებას. 8124

დისწულები სონია რამიშვილი მეუღლით ვანოთი, ანიკო და ალექსი დულარიძეები, ვალია მასიევა, მარო და სარქისა ბარხუდაროვები იუწყებიან **ლიზა ეგიაზაროვას** გარდაცვალებას. 2121

პეტრე შამათავა და თინა ჯავახიშვილი-შამათავასი იუწყებიან შვილის **მ ა ნ ა ნ ა ს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/X 7 ს. გამოსვენება 2/X 5 ს. პლეხანოვის 64, კუკიის სასაფლაოზე. 8134

მეუღლე სოფიო, შვილები სიკო, ოირუზა, სოსო, კოლია, გოგია, შვილიშვილები, რძლები ლიდა, ნინო, ფედოსია იუწყებიან **ივანე ბესარიონის-ძე ბუღაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/X 6 ს. III ახალშენის, 20. 8128

შვილები ვიქტორ, დუდა, ნინო, რძალი ლენა, სიძე შალვა სულაძე, შვილიშვილები რუსიკო, ვახტანგ, ელიკო იუწყებიან **ალექსანდრა მალხაზის-ასულ წ ე რ ე თ ე ლ ი ს** გარდაცვალებას. ს. ჭილოვანში. 8135

რძალი კატო წერეთელი, ძმისწულები ნატო, ელენე, ნიკო. სონა, ქეთო, კოკო. სიძე ბიკია წერეთელი იუწყებიან **ალექსანდრა მალხაზის-ასულ წ ე რ ე თ ე ლ ი ს** გარდაცვალებას. 8135

საქ. სსრ სამხედრო კომისარიატის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა იუწყება ტყიბულის რაიონის სამხედრო კომისრის უფროს ლეიტენანტ **ვიქტორ სტეფანეს-ძე ალანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/X ს. შუაქვალონში (ხონი). 8132

მშობლები ვასო, ალექსანდრა, და თამარ, ძმა ვასიკო ცოლშვილით დევდარიანები იუწყებიან ინჟინერ **იოსებ დევდარიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/X 7 ს. გამოსვენება 3/X 6 ს. ხუდადოვის, 41. 8129

ძმები ესო, იოსებ, ლავრენტი, დები ანეტა, ევა, რძლები თამარ, ნინო, ნადია, ძმისწულები სიდამონიძეები იუწყებიან **რ ა ხ ი ე ლ ი ს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. ფხვენისში (გორის რ.). 8130

ბებია ტასია, ბიცოლა ელენე, ბიძაშვილები თინა, არჩილ, ბიძები სამსონ, კოტე, სამუილ კიკნაძეები იუწყებიან ინჟინერ **იოსებ ვასილის-ძე დევდარიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/X 6 ს. ხუდადოვის, 41. 8126

შვილები მარიამ ცისკარაშვილი, იამარ ლეონიძე შვილებით, რძლით, სიძით იუწყებიან **ჟინო აბალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/X 7 ს. გამოსვენება 2/X 6 ს. თოდრიას, 57, კუკიის სასაფლაოზე. 8127

ძმები სევერიანე, სოლომონ, რძლები ნინო, პოლია, ბაბულია იუწყებიან **ეკატერინე (კოკოშა) ბართლომეს-ასულ გვასალიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/X 6 ს. ქალ. I საავადმყოფოს პროზექტურიდან, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 8133

ქ. ცხაკაიას ტროპ. სნეულებათა სადგურის თანამშრომლები იუწყებიან ამავე დაწესებულების გამგის ექიმ ნესტორ ბოკუჩავას შვილის **ო თ ა რ ი ს** გარდაცვალებას. 8117



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84. წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 1402